აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ადრეული ქორწინების, როგორც განათლების მიღების ერთ-ერთი ხელის შემშლელი ფაქტორის კვლევა

დაიანა კარაკოზოვი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტზე განათლების მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: შალვა ტაბატაძე
ასოცირებული პროფესორი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
თბილისი, 0178, საქართველო
თებერვალი,2020 წელი
საავტორო უფლება © 2020 წელი, დაიანა კარაკოზოვი

ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით დაიანა კარაკოზოვის შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: „ადრეული ქორწინების, როგორც განათლების მიღების ერთ-ერთი ხელის შემშლელი ფაქტორის კვლევა“ და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კომისიაში მის განხილვას განათლების მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი ___/___/___

ხელმძღვანელი: _____

თანახელმძღვანელი: _____

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

2020 წელი

ავტორი: დაიანა კარაკოზოვი

დასახელება: ადრეული ქორწინების, როგორც განათლების მიღების ერთ-ერთი ხელის შემშლელი ფაქტორის კვლევა

ფაკულტეტი : ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა

ხარისხი: განათლების მეცნიერებების მაგისტრი

თარიღი: ___/___/___

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა: _____

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

თანამედროვე მსოფლიოში ძალზედ აქტუალურია არასრულწლოვანთა უფლებების სხვადასხვა დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლა, მათი უპირატესი ინტერესის გათვალისწინება, ფუნდამენტალური უფლებების დაცვა და საჭიროებების დაკმაყოფილება, რაც ყველა სახელმწიფოს პოლიტიკის ძირითად მისიას წარმოადგენს. ბოლო წლებში საკმაოდ ხმამაღალი ბრძოლა მიმდინარეობს ადრეული ქორწინების წინააღმდეგ, სწორედ არასრულწლოვანთა ერთ-ერთი უპირატესი - განათლების მიღების უფლების ხელის შეწყობის მიზნით. არასრილწლოვანთა დაოჯახება იწვევ სოციალურ, ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ პრობლემებს, რომელიც არ უტოვებს არასრულწლოვნებს განათლების მიღების არჩევანის უფლებას, ვინაიდან ოჯახის შენარჩუნა მოითხოვს დიდ ძალისხმევას და რესურსს, რაც არასრულწლოვნებს, ხშირ შემთხვევებში, არ გააჩნიათ. ამ თვალსაზრისით, ჩვენი საკვლევი თემა - ადრეული ქორწინების, როგორც განათლების მიღების ერთ-ერთი ხელის შემშლელი ფაქტორის კვლევა - აქტუალურია საგანმანათლებლო სივრცისთვის.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია საგანმანათლებლო პროცესში სრულყოგილად ჩართვის ბარიერები, მათ შორის ადრეულ ქორწინება, რომელზეც ძირითადი ყურადღება არის გამახვილებული. თემა ეხება ისეთ საკითხებს როგორიცაა: ადრეული ქორწინების ფენომენი, მისი შედეგები და გამომწვევი მიზეზები, განათლების სისტემის როლი ადრეული ქორწინების პრევენციაში, საკანონმდებლო და სტატისტიკური მონაცემები, მიმოხილულია არსებული კვლევები. ასევე არის წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული თვისებრივი კვლევის შედეგები.

კვლევის მიზანს წარმოადგენს ადრეული ქორწინების გავლენის შესწავლა განათლების მიღების პერსპექტივაზე და განათლების სისტემის ჩართულობის შეფასებას ადრეული ქორწინების პრევენციაში.

კვლევის მეთოდი: კვლევა ჩატარდა თვისებრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით, კეროდ, ჩაღრმავებული ინტერვიუ და ფოკუს ჯგუფი. კვლევის

სამიზნე ჯგუფი შეირჩა მიზნობრივი შერჩევისა და „თოვლის გუნდას“ პრინციპის გამოყენებით.

კვლევა აღწერს ადრეული ქორწინების გავლენას განათლების შეწყვეტის მაჩვენებელზე, ასევე, ყურადღებას ამახვილებს განათლების სისტემის როლზე ადრეული ქროწინების პრევენციაში.

თვისებრივი კვლევის შედეგების ანალიზი ცხადყოფს, რომ ადრეული ქორწინება ქმნის განათლების მიღების ბარიერებს და უარყოფითად მოქმედებს სწავლის გაგრძელების მოტივაციაზე; ნაადრევი დაოჯახების ძირითადი მაპროვოცირებელი ფაქტორი სწორედ ცოდნის ნაკლებობაა, რაც ხაზს უსვამს განათლების სისტემის მნიშვნელოვან როლს ადრეული ქორწინების პრევენციაში.

Resume

In the modern world, the fight against various violations of the rights of minors is very urgent, while considering their predominant interests, protecting fundamental rights and satisfying their needs. In fact, these issues are the core political mission of all countries. In recent years, there has been an active fight against early marriage, by promoting the rights of education for minors. Juvenile marriages cause social, economic and psychological problems that do not leave minors the choice of education, since maintaining a family requires a great deal of effort and resources that the minors often lack. In this sense, our research topic of early marriage, as one of the hindrances to education, is relevant to the educational space.

The present paper discusses the barriers to full inclusion in the educational process, including early marriage, being a primary focus. Topics include: the phenomenon of early marriage, its consequences and causes, the role of the education system in the prevention of early marriage, legislative and statistical data, and the current research. Moreover, the results of the qualitative research conducted within the framework of the master thesis are also presented.

The aim of the study is to examine the impact of early marriage on the prospect of education and to assess the involvement of the education system in the prevention of early marriage.

Research Method: The study was conducted using qualitative research method, particularly with in-depth interview and focus group methods. The target group of the study was selected using targeted selection and the "snowball" principle.

The study describes the influence of early marriage on the rate of termination of education, and also focuses on the role of the education system in preventing early marriage.

The analysis of qualitative research results reveals that early marriage creates barriers to education and has a negative effect on motivation for continuing education. The main driving factor for early marriage is precisely the lack of knowledge, which highlights the important role of the education system in preventing early marriage.

სარჩევი

შესავალი 1

თავი I საგანმანათლებლო პროცესში ჩართვის ბარიერები 6

1.1 დაბალი სოციო-ეკონომიკური ფონი 7

1.2 ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები 8

1.3 ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები 9

1.4 ძალადობის მსხვერპლი ბავშვები 11

თავი II ადრეული ქორწინება 13

2.1 ადრეული ქორწინება და მისი შედეგები 13

2.2 საგანმანათლებლო სისტემის როლი ადრეული ქორწინების პრევენციაში 16

2.3 საკანონმდებლო ჩარჩო 17

2.4 სტატისტიკა და კვლევები 19

2.4.1 სტატისტიკა 19

2.4.2 კვლევები 22

2.5 საზღვარგარეთის პოლიტიკა 28

თავი III კვლევითი ნაწილი 30

3.1 კვლევის მიზნები და ამოცანები 30

3.2 სამიზნე ჯგუფი 30

3.3 კვლევის მეთოდი და დიზაინი 31

3.4 კვლევის გეგმა 32

კვლევის შედეგები 33

ჩაღრმავებული ინტერვიუ არასრულწლოვან ასაკში დაოჯახებულებთან 33

ფოკუს ჯგუფი მასწავლებლებთან 35

ჩაღრმავებული ინტერვიუ ექსპერტებთან 38

დასკვნა 42

რეკომენდაციები 45

გამოყენებული ლიტერატურა 47

დანართი #1 50

დანართი #2 51

დანართი #3 52
დანართი #4 53

შესავალი

ყველა ქვეყნის უპირატესი მიზანი განათლებული და განვითარებული საზოგადოების ჩამოყალიბება უნდა იყოს. საზოგადოების თითოეულ წევრს უნდა ჰქონდეს თანაბარი პირობები განათლების მიღების, პროფესიის შეძენის, განვითარების-გადამზადების და დასაქმების საკითხებში. ყველა სახელმწიფოს მიზანს განათლებული და ძლიერი საზოგადოების ჩამოყალიბება უნდა წარმოადგენდეს.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ყველა არასრულწლოვანისთვის არის ხელმისაწვდომი ზოგადი განათლება განურჩევლად სქესისა, ეთნიკური წარმომავლობისა, რელიგიური მიკუთვნებულობისა, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სხვა (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მუხლი 7). თუმცა, ქვეყნის სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა ბადებს რიგ ბარიერს, რომლებიც განათლების მიღების პროცესისთვის ხელისშემშლელია.

საკმაოდ მწვავედ დგას მოსახლეობის საყოფაცხოვრებო-ეკონომიკური მდგომარეობა და უსახლკარობის პრობლემა, რომელიც თავისთავად ხელს უშლის არასრულწლოვნის საგანმანათლებლო პროცესში ჩართვას (ცინცაბაძე ანანო და ჭუბაბრია თათული, 2016).

მწვავეა ასევე არასრულწლოვანთა ქუჩაში ცხოვრების და მუშაობის პრობლემა საქართველოში. არასათანადო ოჯახური გარემო აიძულებს არასრულწლოვნებს გავიდნენ ქუჩაში, იცხოვრონ და იმუშაონ ქუჩაში. რიგ შემთხვევაში ოჯახის სარჩენად, ხოლო რიგ შემთხვევაში საკუთარი თავის გადარჩენის მიზნით. თვალნათელია, რომ არასრულწლოვანი, რომელიც უმეტეს დროს ატარებს ქუჩაში, არ აქვს სახლი და ოჯახური გარემო, მუშაობს თვითგადარჩენისთვის, მისთვის განათლების მიღების ყველა გზა ჩაკეტილია (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2018).

არსებულ ჯგუფებს შორის, რომლებსაც ექმნებათ საგანმანათლებლო პროცესში ჩართვის ბარიერები ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებიც არიან. ადაპტირებული საზოგადოებრივი ტრანსპორტის და საგანმანათლებლო სივრცის არარსებობის გამო ფიზიკური შეზღუდვის მქონე ბავშვები ხშირად ვერ ახერხებენ ხარისხიანი ზოგადი განათლების მიღებას, მენტალური პრობლემის მქონე შშმ ბავშვები კი გარიყული არიან სასწავლო პრიცესისგან. აღსანიშნავია, რომ შშმ ბავშვებისთვის საგანმანათლებლო პროცესში ჩართვის ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი ადმინისტრაციის უარყოფითი დამოკიდებულება, შესაბამისი სპეციალისტების და რესურს-ოთახების არარსებობაა (პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის, 2016).

განათლების ხელმისაწვდომობის ერთ-ერთ პრობლემას ადრეული (ნაადრევი) ქორწინებაც წარმოადგენს, რომელიც ძირითადად კულტურული ფაქტორით არის განპირობებული (გაეროს მოსახლეობის ფონდი, 2017).

ადრეული ქორწინება იძულებულს ხდის ორივე პარტნიორს უარი თქვას ზოგადი და უმაღლესი განათლების მიღებაზე, ასევე კარიერულ განვითარებაზე. დაოჯახების თანმხლებ ყოფით გამოწვევებთან ბრძოლისთვის არასრულწლოვნებს უწევს დასაქმება, პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით. ბავშვის გაჩენის შემდეგ კი განათლების მიღების შანსი პრაქტიკულად ისპობა, რადგან პარტნიორები იძულებული არიან სრული რესურსის მობილიზება მოახდინონ ოჯახისა და შვილის კეთილდღეობისთვის. იმის გამო, რომ არასრულწლოვნები ადრეული ქორწინების დროს იძულებული არიან უარი თქვან განათლებაზე, რაც დასაქმებისთვის საჭრო უნარ-ჩვევების არ ქონას გულისხმობს, ისინი ვერ საქმდებიან ან მათი ხელფასი მცირე და არასტაბილურია. ახალგაზრდები მძიმე ეკონომიკური პრობლემების წინაშე დგანან, რაც ხშირ შემთხვევაში წყვილში განხეთქილებას და მუდმივი კონფლიქტის საფუძველს წარმოშობს. გარდა ფსიქო-სოციალური პრობლემებისა, ჯანმრთელობის მხრივ რეალური საფრთხე ექმნებათ ადრეულ ქორწინებაში მყოფ გოგონებს (გაეროს მოსახლეობის ფონდი, 2017).

საქართველოში ადრეული ქორწინების ზუსტი რაოდენობრივი მონაცემები დღეის მდგომარეობით არ არის, თუმცა რამდენიმე წყარო აქვეყნებს მიახოლებულ ადრეული ქორწინებისა და სწავლის შეწყვეტის მაჩვენებელს: კავშირი „საფარი“-ს გამოქვეყვენული ინფორმაციის მიხედვით საქართველოში, ქალების 17% 18 წლამდე დაოჯახდა. 2011-2013 წლებში საქართველოს საჯარო და კერძო სკოლებიდან VII-IX კლასების დასრულებამდე 7367-მა გოგონამ შეწყვიტა განათლების მიღება. აღნიშნულ გოგონათა უმრავლესობის განათლების შეწყვეტის მიზეზი კი სწორედ ნაადრევი ქორწინებით იყო გამოწვეული (https://sapari.ge/ადრეული-ქორწინება/). ნათელია, რომ განათლების ხელმიუწვდომობა კარიერის შექმნის, კარგი სამუშაო ადგილის მოძებისა და შესაბამისად მისაღები და მაღალი შემოსავლის ხელისშემშლელია. ბუნებრიავია ადრეულ ქორწინებას უარყოფითი შედეგები მოაქვს. არასამეწარმეო იურიდიული პირის სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში (არასრულწლოვანთა ქორწინება, 2016) მოცემული ინფორმაციის თანახმად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემებით, 2008-2015 წლებში 5903 არასრულწლოვანთა ქორწინება დარეგისტრირდა. აღნიშნული მონაცემი ასახავს როგორც ისეთ შემთხვევებს, როცა ქორწინების ერთ-ერთი მხარება არასრულწლოვანი, ასევე, როცა ორივე მეუღლე არასრულწლოვანია. მოცემული მონაცემი საკმაოდ დიდი მაჩვენებელია იმის გათვალისწინებით, რომ ასახავს რეგისტრირებულ ქორწინებას, ხოლო არარეგისტრირებული კავშირების შესახებ ინფორმაცია არ არის გამოკვლეული. „ადგილობრივი შესაძლებლობების გაძლიერება ბავშვთა უფლებების დაცვისთვის“ პროექტის მიერ შემუშავებული საკითხავი მასალიდან ირკვევა, რიმ 2011 – 2015 წლებში 6,277 გოგონამ მიატოვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, მათ შორის 2014–2015 სასწავლო წელს, საქართველოში მე–9 კლასის დასრულებამდე სწავლა 1804–მა გოგონამ შეწყვიტა. აღსანიშნავია, რომ მასალის შესაბამისად სწავლის შეწყვეტის ძირითად მიზეზს ადრეული ქორწინება წარმოადგენს. („ადგილობრივი შესაძლებლობების გაძლიერება ბავშვთა უფლებების დაცვისთვის“ 2016. საკითხავი მასალა)

ბოლო წლებში, როგორც საქართველოში, ასევე თანამედროვე მსოფლიოში საკმაოდ ხმამაღალი ბრძოლა მიმდინარეობს, ადრეული ქორწინების წინააღმდეგ, სწორედ არასრულწლოვანთა ერთ-ერთი უპირატესი - განათლების მიღების უფლების ხელის შეწყობის მიზნით. ამ კუთხით, საქართველოში მოხდა საკანონმდებლო ჩარჩოს დაკორექტირება, რაც თვრამეტ წლამდე მიუღწეველ პირს უკრძალავს დაოჯახებას (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1108). ბავშვთა მიმართ ძალადობის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილებით N437 გადანაწილდა პასუხისმგებლობა ყველა იმ უწყებას შორის, რომელსაც რაიმე კუთხით შეიძლება ჰქონდეს შეხება არასრულწლოვანთან. სახელმწიფო სექტორი გააქტიურდა არასრულწლოვანთა ქორწინების აღმოფხვრაზე ორიენტირებული საინფორმაციო კამპანიის ჩატარების გზით[1].

აქედან გამომდინარე ნაშრომი ეფუძნება ადრეული ქორწინების, როგორც განათლების მიღების ერთ-ერთი ხელის შემშლელი ფაქტორის კვლევას და განათლების სისტემის ჩართულობის შეფასებას ადრეული ქორწინების პრევენციაში.

კვლევის სიახლეს წარმოადგენს თემის სიღრმისეულად შესწავლას არა კომპაქტურად დასახლებულ ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებში, სადაც ადრეული ქორწინება კულტურის განუყოფელ ნაწილად რჩება დღევანდელ რეალობაშიც, არამედ საქართველოს ყველაზე განვითარებულ ნაწილში - დედაქალაქში მცხოვრები ეთნიკურად ქართველი ნაადრევად დაოჯახებული ახალგაზრდების მაგალითზე.

კვლევის მიზანს წარმოადგენს არასრულწლოვნების ადრეული დაოჯახების, როგორც განათლების მიღების ერთ-ერთი ხელის-შემშლელი ფაქტორის შესწავლას ქ.თბილისში მცხოვრები, ეთნიკურად ქართველი, არასრულწლოვან

[1] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://police.ge/ge/nu-tsaartmev-bavshvobas-shinagan-saqmeta-saministro-naadrevi-qortsinebis-tsinaaghmdeg-sainformatsio-kampanias-itskebs/12819

ასაკში დაოჯახებული ახალგაზრდების მაგალითზე და განათლების სისტემის ჩართულობის შეფასებას ადრეული ქორწინების პრევენციაში.

კვლევა ჩატარდება თვისებრივი მეთოდის გამოყენებით, კერძოდ ჩაღრმავებული ინტერვიუს და ფოკუს ჯგუფის მეშვეობით.

კვლევის საგანს ადრეული ქორწინების, როგორც განათლების მიღების ერთ-ერთი ხელის შემშლელი ფაქტორის კვლევას წარმოადგენს.

კვლევის ობიექტს წარმოადგენენ არასრულწლოვან ასაკში დაოჯახებული ახალგაზრდები, განათლების ექსპერტები და საჯარო სკოლის დირექტორები და პედაგოგები.

სამიზნე ჯგუფის შერჩევა მოხდა „თოვლის გუნდას“ და მიზნობრივი შერჩევის მეთოდის გამოყენებით. შერჩეულ იქნა არასრულწლოვან ასაკში დაოჯახებული 20 რესპოდენტი, 2 ექსპერტი და ქ.თბილისის 2 საჯარო სკოლა.

თავი I საგანმანათლებლო პროცესში ჩართვის ბარიერები

სკოლა განუზომლად დიდ როლს თამაშობს ყველა მოქალაქის პიროვნულ თუ საზოგადოებრივ განვითარებაში, სძენს ადამიანებს ფიზიკურ და შემეცნებით განვითარებას, აყალიბებს მას საზოგადოების სრულფასოვან წევრად და უზრუნველყოფს ადამიანის აკადემიურ და სოციალურ განვითარებას. აღზრდა-განათლება მძლავრი სოციალური მექანიზმია, რომლის საშუალებითაც ხდება პიროვნების სოციალიზაცია. სოციალიზაცია გულისხმობს საზოგადებაში ნორმად მიჩნეული ქცევის გათავისებას და ასწავლის ბავშვს, თუ როგორ მოიქცეს, რა აკეთოს იმისთვის, რომ მიაღწიოს დასახულ მიზნებს. მხოლოდ აღზრდა-განათლების შედეგად ხდება ადამიანი საზოგადოების სრულფასოვანი წევრი. განათლების როლი საზოგადოების ჩამოყალიბების კუთხით ფასდაუდებელია.

სკოლა არის ის ინსტიტუტი, რომელიც უზრუნველყოფს არა მხოლოდ აღზრდა-განათლებას, არამედ სოციალიზაციისთვის, საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის საჭირო უნარ-ჩვევების დასწავლას. ზუსტად ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სკოლა იყოს ხელმისაწვდომი ყველა ბავშვისთვის. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 7.) შესაბამისად სახელმწიფო უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის) მიერ ზოგადი განათლების თავის საცხოვრებელ ადგილთან მაქსიმალურად ახლოს, სახელმწიფო ან მშობლიურ ენაზე მიღების უფლებას.

ამის მიუხედავად, ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ ხშირია საგანმანათლებლო პროცესში ბავშვების სრულფასოვანი ჩართვის შეზღუდვა, რასაც განაპირობებს დაბალი სოციალური ფონი, ეკონომიკური პრობლემები, შეზღუდული

შესაძლებლობები და სხვა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, ოჯახური ძალადობა, ქუჩაში ცხოვრება და მუშაობა, ადრეული ქორწინება და ა.შ.

1.1 დაბალი სოციო-ეკონომიკური ფონი

დაბალი სოციო-ეკონომიკური ფონი საგანმანათლებლო პროცესში სრულყოფილად ჩართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ხელის შემშლელი ფაქტორია. 15-დან 18 წლამდე ყოველი მეხუთე ღარიბი ბავშვი აღარ იღებს განათლებას (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2017, გვ.23). უმუშევრობა და არასაკმარისი შემოსავალი ვერ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესში შესაბამისი ჩართულობის უზრუნველყოფას. მშობლები ვერ ახერხებენ შესაბამისი სახელმძღვანელოების, საკანცელარიო ნივთების შეძენას, მოსწავლის ინტერნეტით უზრუნველყოფას, რომელიც აქტიურად გამოიყენება, როგორც ინფორმაციის უმნიშვნელოვანესი წყარო.

დღესდღეისობით საქართველოში დაბალია მოსახლეობის სოციალური ფონი. საქართველოს დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის დაქვემდებარებაში არსებული სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად 2019 წელს საქართველოს მოსახლეობის 24.9% არის რეგისტრირებული სოციალურად დაუცველთა ბაზაში, ხოლო 11.2% იღებს საარსებო შემწეობას პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით. შეიძლება ითქვას მოსახლეობის მესამედი არის რთული სოციო-ეკონომიკური პრობლემების წინაშე. ამასთან ყოველ წელს იზრდება უფასო სასადილოების ბენეფიციართა რიცხვი. როგორც „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ ინოვაციური მედია პროექტიის ფაქტ-მეტრის [2] მონიტორინგის ცენტრ

[2] „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ ინოვაციური მედია პროექტი საქართველოში, რომელიც საერთაშორჭისო ანალოგების (www.politifact.com, www.factcheck.org) შესაბამისად შეიქმნა. ფაქტ-მეტრი მიზნად ისახავს საზოგადოებისთვის საინტერესო საკითხებზე პოლიტიკოსებისა თუ სხვა საჯარო პერსონების მიერ გაკეთებულ განცხადებებში ფაქტობრივი სიზუსტის დადგენას.

„მედიატორის“ დამფუძნებელი ლევან ხაბეიშვილი მის სტატიაში „სოციალური ფონი გაუარესებულია, თბილისში უფასო სასადილოების ბენეფიციართა რაოდენობა იზრდება“ წერს: „2014 წელს თბილისის უფასო სასადილოებში რეგისტრირებული იყო 14 000 ადამიანი, 2015 წელს - 26 000, 2016 წელს - 32 000 და 2017 წელს ბენეფიციართა რაოდენობა 38 000-მდეა გაზრდილი“. საქსტატის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად საქართველოში უმუშევრობის მაჩვენებელი 2009 წლიდან კლებულობს. 2009 წელს მაჩვენებელი 18.3% შეადგენდა, ხოლო 2018 წელს 12.7% შეადგენს[3].

1.2 ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები

საქართველოში ძალზედ აქტუალურია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების განათლების საკითხი. ორი ძირითადი დოკუმენტი, რომელმაც საქართველოში 2006 წელს მკვეთრად შეცვალა შშმ ადამიანთა განათლებისადმი დამოკიდებულება და სათავე დაუდო აღნიშნული თემის აქტუალობას და ინკლუზიური განათლების შემოღებას, არის 1994 წლის სალამანკას დეკლარაცია და 2006 წლის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებათა კონვენცია. ინკლუზიური განათლება გულისხმობს ყველა ადამიანის, განურჩევლად შესაძლებლობებისა და შეზღუდვებისა, განათლების მიღებას თანატოლებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე-9-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად „ყველას აქვს სრული ზოგადი განათლების მიღების თანაბარი უფლება, რათა სრულად განავითაროს თავისი პიროვნება და შეიძინოს ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია კერძო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობებისთვის. დაწყებითი და საბაზო განათლების მიღება სავალდებულოა“, ხოლო მესამე პუნქტის თანახმად „სპეციალური

[3] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/38/dasakmeba-da-umushevroba

საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის გამოიყენება ალტერნატიული სასწავლო გეგმა, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ან/და გაფართოებული სასწავლო გეგმა, რომლის შესაბამისადაც ხორციელდება მისი სწავლება, სოციალური ადაპტაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაცია. საჯარო სკოლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი ადამიანური რესურსითა და პროგრამებით/სერვისებით, რომელთა დაფინანსებას სახელმწიფო უზრუნველყოფს“.

არსებული საკანონმდებლო ბაზის მიუხედავად, სპეციალური საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღება, საგანმანათლებლო პროცესში ჩართვა და საზოგადოებაში ინტეგრაცია კვლავ დიდ გამოწვევას წარმოადგენს სახელმწიფოსთვის. დღემდე საგანმანათლებლო სივრცე ბევრ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში არ არის ინტეგრირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის, არ არის ფსიქოლოგთა და სპეც.პედაგოგთა საკმარისი რაოდენობა, არ არის შესაბამისი სასწავლო მასალა, როგორიცაა ბრაილის შრიფტით ნაბეჭდი სახელმძღვანელოები. ჯერ ისევ საკვანძო პრობლემას წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა, პედაგოგთა და მოსწავლეების მშობლთა დამოკიდებულება სსმ და შშმ ბავშვების მიმართ, რაც მძლავრად აფერხებს მათ საგანმანათლებლო პროცესში სრულ ჩართულობას (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების კვლევა, 2016).

1.3 ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები

ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების პრობლემა არანაკლებ აქტუალური და მწვავეა საქართველოში. თუ ვიმგზავრებთ მეტროთი აუცილებლად შევხვდებით ყველაზე ცოტა ერთ მომუშავე, ან მოწყალების სათოხვნელად გამოსულ ბავშვს. სამწუხაროდ, ზუსტი სტატისტიკური მონაცემები

ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე არასრულწლოვნების შესახებ ამ დროისთვის არ გაგვაჩნია. სოციალური მომსახურების სააგენტოს ბავშვთა და ოჯახში ძალადობის ადმინისტრირების სამმართველოს უფროსთან, ქ-ნ ხათუნა ჯიქიასთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ 2014 წლიდან დღემდე სააგენტომ 1625 ქუჩაშ მცხოვრებ და მომუშავე ბავშვთან იმუშავა (მონაცემი მხოლოდ ქ.თბილისში და ქ.ქუთაისში ჩატარებული სამუშაობის შედეგია).

გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ 2018 წელს გამოქვეყნებული კვლევის „ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები საქართველოში“ მიხედვით:

„საქართველოში ქუჩაში მცხოვრები/მომუშავე ბავშვების პოპულაცია შეიძლება ქვეკატეგორიებად დავყოთ იმის მიხედვით, ახლავთ თუ არა მათ მშობელი და აქვთ თუ არა მშობელთან კონტაქტი.

- უსახლკარო (ქუჩაში მცხოვრები) ბავშვები და მოზარდები მოზარდები/ბავშვები, რომლებიც ქუჩაში ცხოვრობენ და მუშაობენ, ქუჩაში ყოფნისას არ ახლავთ მშობელი და არ არიან მშობლის დაცვისა და მზრუნველობის ქვეშ. ასეთ ბავშვებს შეიძლება ზოგჯერ კონტაქტი ჰქონდეთ მშობლებთან. ბავშვები, რომლებიც ქუჩაში მშობლების გარეშე არიან, მაგრამ დასაძინებლად სახლში მიდიან

- ბავშვები, რომლებიც დღის უდიდეს ნაწილს ქუჩაში ატარებენ - ისინი მუშაობენ ან სხვა სახის ეკონომიკური აქტივობით არიან დაკავებულნი, არიან მშობლის თანხლების გარეშე, მაგრამ მშობლები რეგულარულად უზრუნველყოფენ მათ საკვებით და/ან რესურსებით, ხოლო ბავშვებს თავიანთი წვლილი შეაქვთ ოჯახის შემოსავალში.

- ქუჩის მობილური ოჯახების ბავშვები ბავშვები, რომლებიც ქუჩაში მომუშავე უფროსის თანხლებით არიან, ქუჩაში მუშაობენ, მაგრამ იქ არ სძინავთ.

- უსახლკარო ოჯახების ბავშვები უსახლკარო ოჯახების ბავშვების სიტუაცია ქუჩის მობილური ოჯახების ბავშვების სიტუაციის მსგავსია, მაგრამ ისინი ღამით სახლში არ ბრუნდებიან.

ყველა ქვეტიპის გათვალისწინებით ქუჩაში მომუშავე და მცხოვრები ბავშვები ყველაზე დაუცველ ჯგუფს წარმოადგენე. ქუჩის ბავშვების აბსოლუტურ უმეტესობას ხელი არ მიუწვდება განათლებაზე და სამედიცინო მომსახურებაზე“.

1.4 ძალადობის მსხვერპლი ბავშვები

ძალადობის უამარავი განმარტება არსებობს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის განმარტებით, ძალადობა არის ფიზიკური ძალის ან ძალაუფლების განზრახ გამოყენება ან მუქარის სახით მიმართული საკუთარი თავის, სხვა პირის, პირთა ჯგუფის ან თემის წინააღმდეგ, რომლის შედეგს წარმოადგენს : სიკვდილი, სხეულის დაზიანებები, ფსიქოლოგიური ტრამვა, განვითარებაში ჩამორჩენა და სხვა[4].

ძალადობა შეიძლება იყოს:

- ფიზიკური
- სექსუალური
- ემოციური
- ფსიქოლოგიური
- ზიანი/ზარალის მიყენება ან უგულებელყოფა

ძალადობის ნებისმიერ სახეს და მათ შორის უგულებელყოფასაც ფიზიკური და ქცევითი მახასიათებელები აქვს, მათ შორის: ბავშვის განვითარებაში ჩამორჩენა, ასაკისთვის შეუსაბამო სიმაღლე, წონა; გატანჯული გამომეტყველება; მოუწესრიგებელი ჰიგიენური მდგომარეობა; მუდმივი შიმშილი; დაღლილობა; ძილიანობა, მიმართვის (სიტყვების) მუდმივი იგნორირება, ყურადღების

[4] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: http://www.who.int/violenceprevention/approach/definition/en/

კონცენტრაციის სირთულეები, აპათიურობა, გონებაგაფანტულობა, უკიდეურესი პასიურობა ან აგრესია, გაკვეთილებზე სისტემატიური დაგვიანება, ხშირი გაცდება, გაკვეთილებზე ძილი, თვითდაზიანება, ანტისოციალური/კრიმინალური ქცევისადმი მიდრეკილება, თვითშფასების დაბალი დონე (მგელიაშვილი, მ. და ნამიჭეიშვილი, ს. , 2010, გვ. 161).

ბუნებრივია, ძალადობის ჩამოთვლილი შედეგები მკვეთრად ამცირებს ბავშვის პროდუქტიულობას. დადგენილია, რომ ძალადობის ან ტრავმის ზემოქმედება გავლენას ახდენს განვითარების პროცესში მყოფ ბავშვის ტვინზე. იმ ბავშვების თავის ტვინი, რომლებიც ხშირად განიცდიან სტრესს, ფიზიკური, სექსუალური ძალადობის ან ხანგრძლივი უგულებელყოფის სახით, მთელ თავიანთ რესურსებს გარემოში არსებული საფრთხის დაძლევასა და გადარჩენაზე ხარჯავენ (საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი[5]).

განათლემის სისტემის და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების როლი ძალადობის პრევენციაში საკმაოდ მნიშვნელოვანია. სკოლამ დროული და ქმედითი რეაგირება უნდა მოახდინოს ბავშვის მიერ გამოხატულ ძალადობის მსხვერპლისთვის თუ მოძალადისთვის დამახასიათებელ ქცევაზე. ძალადობისა და ბულისგის თემაზე საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში ორგანიზება გაუწიოს საინფორმაციო-აღმზრდელობით კამპანიას, რომელიც სკოლის პერსონალის, მოსწავლეების და მშობლების ცნობიერების ამაღლებაზე იქნება ორიენტირებული.

ზემოთ ხსენებული, საზოგადოებაში არსებული სოციალური პრობლემები, რომლებიც ქმნიან საგანმანათლებლო პროცესში სრულყოფილი ჩართვის ბარიერს საკმაოდ მასშტაბურ ხასიათს ატარებენ. თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანი, მძლავრი და აქტუალურია ადრეული დაოჯახების პრობლემაც, რომელიც ჩვენს საკვლევ საკითხს წარმოადგენს, ამიტომ მისი სიღრმისეული და დეტალური განხილვისთვის ცალკე თავი იქნა დათმობილი.

[5] იხილეთ: http://phf.org.ge/ka/resources/dzaladoba-bavshvze/

თავი II ადრეული ქორწინება

ადრეული ქორწინება არის არაოფიციალური ან ოფიციალური კავშირი ორ ადამიანს შორის, რომელთაგან ერთი მაინც არის არასრულწლოვანი.

ადრეული ქორწინება საქართველოში საუკუნეების განმავლობაში ნორმად იყო მიჩნეული და დღესაც იშვიათად, თუ ვინმეს აკვირვებს არასრულწლოვანთა დაოჯახება. აკვანში დანიშვნის ტრადიცია კი მთელ საქართველოში იყო გავრცელებული. ოჯახები, რომელიც დაახლოებული იყვნენ ერთმანეთთან ცდილობდნენ დანათესავებას და მოზრდილ ბავშვებსაც ნიშნავდნენ. დარინა ქამადის სტატიიდან „უძველესი საქორწინო ტრადიციები საქართველოში - „საიდან მოდის ტერმინი "გათხოვება" და რას ატანდნენ მზითვში ქართველ პატარძლებს“ ვკითხულობთ: „ საქორწინო ასაკს სჯულის კანონი არეგულირებდა და ყოველთვის იცვლებოდა - იყო 12 წელი, 14, 16 წელი. ხევსურეთში უფრო გვიან ქორწინდებოდნენ, ვიდრე საქართველოს სხვა კუთხეებში. მეტწილად წყვილი თანატოლი იყო. საეკლესიო ჩანაწერებში ვხვდებით შემთხვევებს, როცა ქალის ასაკი მამაკაცისას აღემატებოდა. ასაკობრივ სხვაობას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მთავარი იყო, ორივე შვილოსნობის ასაკში ყოფილიყო. ქორწინებისთვის მშობლების თანხმობა და დალოცვა აუცილებელი იყო.“

თანამედროვე საქართველოში არსებული ტრადიციები კვლავ იჩენენ თავს. იმის მიუხედავად, რომ ცხოვრების ძირითადი პრიორიტეტი შეიცვალა, განათლების მიღება და კარიერული წინსვლა საკმაოდ აქტუალური და პრიორიტეტული გახდა. გავრცელებულია ერთგვარი კულტურული წნეხი დასაოჯახებელი ქალების მიმართ, რომელიც აიძულებს ქალს შექმნას ოჯახი, გააჩინოს შვილები და იყოს საუკეთესო დედა და დიასახლისი.

2.1 ადრეული ქორწინება და მისი შედეგები

არაერთი კვლევა ადასტურებს, რომ ადრეულ ასაკში დაოჯახების მაპროვოცირებელი მიზეზები, როგორც უმუშევრობა, მრავალშვილიანობა და

სოციო-ეკონომიკური სიდუხჭირეა (Sach, 2005), ისე აღზრდის არასათანადო მეთოდი, განათლების დაბალი დონე და ინფორმაციის სიმწირეა (საქართველოს სახალხო დამცველი, 2015, გვ. 2). ადრეული ქორწინების და სიღარიბის მაპროვოცირებელი კი განათლების დაბალი დონეა, რომელიც ახდენს გავლენას უმუშევრობაზე (Malhotra and Mather,1997).

ადრეული ქორწინება ბადებს საგანმანათლებლო პროცესში ჩართვის ბარიერებს, შედეგად ამცირებს დასაქმების შესაძლებლობას. აღსანიშნავია, რომ განათლების მაღალი დონე აისახება ადრეული ქორწინების მაჩვენებლის შემცირებაზე (Nour, 2009).

> „ადრეულ ასაკში ქორწინების შედეგად ბავშვები/არასრულწლოვნები დგებიან ისეთი საფრთხეების წინაშე, როგორიც არის ოჯახში ძალადობა. ისინი გაცილებით მოწყვლადები არიან და ნაკლები ინფორმაცია აქვთ დაცვის მექანიზმების შესახებ. ამასთან, ძალადობას იღებენ უკვე როგორც მოცემულ, გამოუვალ მდგომარეობას და შესაბამისად, უძნელდებათ თავის დაღწევა. მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ საქართველოში არსებულ სოციალურ ასპექტებს და მოთხოვნებს, რომლებიც გენდერული უთანასწორობის პრინციპებიდან იღებს სათავეს; როგორიც არის მაგალითად, გოგოს, ქალის მიმართ საზოგადოების მხრიდან დაწესებული არაფორმალური მოთხოვნები - პატიოსნების, უბიწობის და შემდეგ უკვე ოჯახის შენარჩუნების და თმენის ვალდებულებების შესახებ. გარდა ამისა, ადრეული ქორწინების შედეგად ზიანდება ჯანმრთელობა. ცნობილია, რომ 16 წლამდე გოგონები 5-ჯერ უფრო დიდი რისკის ქვეშ დგანან მშობიარობის დროს გართულებებისა და გარდაცვალების თვალსაზრისით. ამასთან, ზიანდება მათი რეპროდუქციული ფუნქციები და იზრდება სიმსივნური დაავადებების რისკებიც. ხოლო ოჯახის დაგეგმვის შესაძლებლობას, როგორც წესი, გოგონები მოკლებულნი არიან - ვერ იღებენ

> გადაწყვეტილებას თუ როდის გახდნენ დედა ან რამდენი შვილის ყოლა სურთ. ამას განაპირობებს, როგორც კონტრაცეპტივების ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, ასევე, ინფორმაციის ნაკლებობა ასეთი საშუალებების შესახებ“ - ნათქვამია სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში „ადრეულ ასაკში ქორწინება: გამომწვევი და გადაჭრის გზები“ (2016, გვ.13).

აღსანიშნავია, რომ ფიზიოლოგიურად ადამიანის ორგანიზმი შეიძლება იყოს მომწიფებული 14-16 წლის ასაკში ქორწინებასა და მშობიარობისთვის, თუმცა ექიმი-რეპროდუქტოლოგების თქმით ამ ასაკში მოზარდების ფსიქო-სოციალური განვითარება საკმაოდ ჩამოურჩება ფიზიკურ მომწიფებას.

ზოგადად, ადრეულ ასაკში ქორწინება არ არის გამართლებული არცერთი სქესისთვის, ვინაიდან წყვილი მოზარდობის ასაკში არ არის მზად იმ პასუხისმგებლობისთვის, რომელსაც მათ ოჯახის შექმნა ავალდებულებთ.

ნაადრევი ქორწინება არასასურველი მოვლენაა. წყვილი ხშირ შემთხვევაში არ არის მზად იმ პასუხისმგებლობებისთვის, რასაც ოჯახის შექმნა ავალდებულებს. არასრილწლოვანთა დაოჯახება იწვევ სოციალურ, ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ პრობლემებს, რომელიც არ უტოვებს არასრულწლოვნებს განათლების მიღების არჩევანის უფლებას, ვინაიდან ოჯახის შენარჩუნა მოითხოვს დიდ ძალისხმევას და რესურსს, რაც არასრულწლოვნებს, ხშირ შემთხვევებში, არ გააჩნიათ.

ჩატარებული კვლევების შედეგების თანახმად არასრულწლოვანთა ქორიწინება შეიცავს სოციო-ეკონომიკურ რისკებს, რომელიც ქალების შემთხვევაში მეტად გამოვლენილია. მსოფლიოში ადრეული ქორწინების შემთხვევებს შორის გოგონათა რაოდენობა ბევრად აღემატება ბიჭების რაოდენობას. გოგონათა ადრეული დაოჯახება შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ძალადობა, ვინაიდან არასრულწლოვან ასაკში არ შეიძლება ეს ნაბიჯი იყოს გააზრებული და ცოდნაზე დაფუძნებული. (Hervish & Feldman-Jacobs, 2011)

აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანთა ქორწინებს განათლების შეწყვეტის მაპროვოცირებელი გარემოებაა, რომელიც მეტწილად გოგონებზე ვლინდება. მაღალი განათლების დონე ამცირებს ადრეული ქორწინების შესაძლებლობას (გაეროს მოსახლეობის ფონდი, 2019).

2.2 საგანმანათლებლო სისტემის როლი ადრეული ქორწინების პრევენციაში

ყოველი ახალგაზრდა ერთხელ მაინც იღებს ცხოვრებისეულად მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მის სექსუალურ და რეპროდუქტიული ჯანმრთელობასთან მიმართებით. კვლევები აჩვენებს, რომ მოზარდების უმეტესობას არ გააჩნია შესაბამისი ცოდნა, რომელიც განაპირობებდა მათ სწორ და პასუხისმგებლიან არჩევანს. კომპლექსური სექსუალური განათლება ხელს უწყობს ახალგაზრდების ჯანმრთელობის, ღირსების და კეთილდღეობის დაცვას, ასევე უზრუნველყოფს გენდერული თანასწორობის და უფლებების დაცვის ხელშეწყობას. ამგვარად საგანმანათლებლო სისტემის როლი საკმაოდ მნიშვნელოვანია, როგორც ადრეული ქორწინების პრევენციაში, ასევე სხვა უფლებრივ საკითხებში.

აღსანიშნავია, რომ დღესდღეისობის საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა არ მოიცავს სექსუალური და რეპროდუქტიული ჯანმრთელობის საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც ეტაპობრივად და სწორად იქნება მიწოდებული მოსწავლეებისთვის. საქართველოში არასრულწლოვან ასაკში დაოჯახებული გოგონების უმრავლესობა არ იყენებს კონტრაცეპტივებს, რაც ინფორმაციის ნაკლებობით არის გამოწვეული, ვინაიდან მსგავსი საკითხები არ შედის სასწავლო პროგრამაში, ხოლო მასწავლებლები თავს არიდებენ მსგავს საკითხებზე საუბარს თავიანთი რელიგიური შეხედულებების გამო. (აბაშიძე & არგანაშვილი, 2015, გვ. 4 - 5).

გაეროს ბავშვთა ფონდის მიხედვით, სექსულუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის კურიკულუმზე დაფუძლებული სწავლების პროცესი მიზნად ისახავს ბავშვების გაძლიერებას მათთვის შესაბამისი ცოდნის,

ღირებულებების და უნარების სწავლებით. მოახდინოს მათი ჯანმრთელობის, კეთილდღეობისა და ღირსების რეალიზება; განავითარონ პატივსაცემი სოციალური და სექსუალური ურთიერთობები; გაიაზრონ, თუ როგორ ახდენს მათი გადაწყვეტილებები მათსა და სხვების კეთილდღეობაზე გავლენას და შეძლონ საკუთარი უფლებების დაცვა მთელი ცხოვრების განმავლობაში (გაეროს მოსახლეობის ფონდი, 2014, გვ. 6). ამგვარი განათლების პროგრამა მიზნად ისახავს არა მხოლოდ სექსზე დაფუძნებული ინფორმაციის მიწოდებას, არამედ სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის ხელისშემწყობას.

განათლების აღნიშნული კომპონენტი უმნიშვნელოვანესია მოსწავლეების პირადი ცხოვრების დაგეგმარებისა და არასასურველი შედეგების თავიდან აცილებისთვის. მიუხედავად ამისა, დღესდღეისობით საქართველოს განათლების სისტემა ფოკუსირდება მხოლოდ ჯანსაღი ცხოვრების წესსა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე.

გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მიერ ჩატარებული გამოკითხვის ფარგლებში გამოკითხულთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია სკოლა იყოს პასუხისმგებელი სექსუალურ და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სწავლებაზე, ვინაიდან სკოლა არის ის სივრცე, სადაც ინფორმაციის მიწოდება თამნინდევრულად, სტრუქტურირებულად და სწორად არის შესაძლებელი. (ევერტ კეტინგი, 2015 წლის, გვ.22; 30)

2.3 საკანონმდებლო ჩარჩო

საქართველოს კონსტიტუცია არის უმაღლესი კანონი, რომლის მე-2 თავი ეხება საქართველოს მოქალაქეობას, ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი აღიარებს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას. კონსტიტუციაში ასევე მნიშვნელოვანია 35-ე მუხლი, რომელიც აღიარებს ადამიანის უფლებას მიიღოს განათლება და აირჩიოს მისი ნებისმიერი ფორმა.

ბავშვთა უფლებათა კონვენცია მსოფლიო მასშტაბის იურიდიული დოკუმენტია. კონვენცია 10 წლის განმავლობაში (1979-1989) იქმნებოდა. გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1989 წლის 20 ნოემბრს დოკუმენტის მიღებას მხარი ერთხმად დაუჭირა. ბავშვთა უფლებების კონვენციის 28 მუხლის თანახმად დოკუმენტის ხელმომწერი ყველა ქვეყანა ვალდებულია უზრუნველყოს უფასო სავალდებულო დაწყებითი განათლებით, უზრუნველყოფს ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარებას და ხელმისაწვდომობას, მიმართავს ხელშეწყობის ღონისძიებებს, რომ ბავშვები რეგულარულად დადიოდნენ სკოლაში და შემცირდეს იმ მოსწავლეთა რიცხვი, რომლებმაც მიატოვეს სკოლა. გაეროს ბავშვთა კონვენციის მიხედვით არასრულწლოვნის უპირატესი, ფუნდამენტალური უფლება სწორედ განათლების მიღების უფლებაა, რომელსაცმისი კანონიერი წარმომადგენელი და სრულიად საზოგადოება უნდა უწყობდეს ხელს (გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენცია, 1989).

ზოგადი განათლების შესახებ კანონის მე-9 მუხლის თანახმად, ყველას აქვს სრული ზოგადი განათლების მიღების უფლება, რათა განავითაროს თავისი პიროვნება და შეიძინოს ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომელიც აუცილებელია წარმატების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობებისთვის.

ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად (2011-2016წწ) სკოლა ვალდებულია რეგულარულად ჩაატაროს სადამრიგებლო საათი. სადამრიგებლო საათის მიზანია მოსწავლის კრიტიკული, ანალიტიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება. სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამრიგებელმა ასაკის შესაბამისად უნდა იმუშაოს შემდეგ მიმართულებებზე: პიროვნული და მორალური განვითარება; ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია. აღნიშნული ინფორმაცია გულისხმობს იმას, რომ სკოლაში უნდა ტარდებოდეს შესაბამისი ღონისძიებები, რომელიც ხელს შეუწყობს ინფორმაციის სწორ მიწოდებასა და გავრცელებას, რათა შემცირდეს/აღმოიფხვრად ადრეული ქორწინება[6].

[6] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: http://ncp.ge/ge/curriculum/satesto-seqtsia/mimdinare-esg-2011-2016

ადრეულ ასაკში ქორწინება არღვევს ბავშვის ჯანმრთელობის, განათლების, თანასწორობის, ძალადობისა და ექსპლუატაციისგან თავისუფალ გარემოში ცხოვრების უფლებას. ეს უფლებები დაცულია გაეროს ადამიანის უფლებათა დეკლარაციით, ბავშვის უფლებათა კონვენციითა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციით (საქართველოს სახალხო დამცველი, 2015, გვ. 2)

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1108 მუხლის თანახმად ქორწინება დაიშვება 18 წლის ასაკიდან, რაც გულისხმობს იმას, რომ 18 წლამდე ბავშვის ქორწინების ხელის შეწყობა ან/და ხელის არ შეშლა დანაშაულის პროვოცირების ტოლფასია. აღნიშნული ცვლილება კანონში 2012 წლის 01 თებერვლიდან შევიდა ძალაში. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე არასრულწლოვნების დაოჯახების რეგისტრაცია აიკრძალა, ხოლო სამოქალაქო თანაცხორება კვლავ უკონტროლო დარჩა.

სისხლის სამართლის კოდექსის 143–ე მუხლით ისჯება ადამიანისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთა, მათ შორის, არასრულწლოვანისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთა, რომელიც შეიძლება იყოს ქორწინების მიზნით მოტაცება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლის მიხედვით, დასჯადია სრულწლოვანი პირის სქესობრივი კავშირი 16 წელს მიუღწეველ პირთან.

2.4 სტატისტიკა და კვლევები

2.4.1 სტატისტიკა

საქართველოში ადრეულ ასაკში ქორწინების საკანონმდებლო რეგულირება შეესაბამება საერთაშორისო პრაქტიკას. თუმცა, იმის გამო, რომ არასრულწლოვნები დაოჯახებას არ სძენენ ოფიციალურ სახეს არ არსებობს

სტატისტიკური ინფორმაცია ადრეული ქორწინების მაჩვენებლის შესახებ, ასაკის ან სხვა მახასიათებლის მიხედვით.

გაეროს ბავშვთა ფონდის გლობალურ გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად მსოფლიოს ქალთა 21% დაოჯახდა არასრულწლოვან ასაკში, მათ შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი[7] არის ნიგერიაში- 77%, ბანგლადეშში -74%, ჩადში - 69% და მალიში - 61 %. (UNICEF, 2014, Ending Child Marriage Progress and Prospects).

როგორც უკვე აღინიშნა, ადრეული ქორწინება მთელი მსოფლიოს მასშტაბით არის გავრცელებული. Girls not brides5-ის 2018 წლის ოფიციალური მონაცემებით[8] 18 წლამდე ბავშვების ქორწინება ყველაზე მეტად გავრცელებულია აფრიკის და აზიის კონტინენტზე. ევროპაში არასრულწლოვანთა ქორწინების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თურქეთში ფიქსირდება (15%), შემდგომ მოდის საქართველო (14%) და მოლდოვა (12%). კავკასიის რეგიონში კი საქართველო ლიდერობს.

საქართველოს სახალხო დამცველმა 2016 წელს გამოაქვეყნა პირველი სპეციალური ანგარიში სახელწოდებით „ადრეულ ასაკში ქორწინება: გამოწვევები და გადაჭრის გზები“. ანგარიშში ვკითხულობთ, რომ 2015 წლის მონაცემებით 16-დან 18 წლამდე პირთა შორის ოფიციალურად 611 არასრულწლოვანი დაქორწინდა. მათ შორის 95% გოგო იყო. ანგარიშში ასევე მოცემულია რაოდენობრივი მაჩვენებელი არასრულწლოვანი მშობლების შესახებ გეოგრაფიული განფენილობით. არასრულწლოვან მშობელთა ყველაზე მაღალი მონაცემი ფიქსირდება თბილისში (393), შემდეგ მოდის იმერეთი (234), კახეთი (192) და ქვემო ქართლი (189). რაც შეეხება არასრულწლოვან მშობელთა რაოდენობას 2017 წელს 835 არასრულწლოვანი მშობელი დაფიქსირდა. ანგარიშში ასევე გამოქვეყნდა არასრულწლოვნების მიერ განათლების შეწყვეტის მაჩვენებლები. აღსანიშნავია, რომ 15 წლის ასაკში 65-მა მოსწავლემ შეწყვირა სწავლა, 16 წლის ასაკში 143-მა, ხოლო 17 წლის ასაკში 183-მა მოსწავლემ.

---

[7] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://www.unicef.org/media/files/Child_Marriage_Report_7_17_LR..pdf

[8] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://www.girlsnotbrides.org/where-does-it-happen/atlas/#/

გაერომ წლიური ანგარიშის „დედობა ბავშვობაში“ მიხედვით, 18 წელს მიუღწეველი დაახლოებით 14 მილიონი გოგო ქორწინდება ერთი წლის განმავლობაში, 38 000 ერთ დღეში, 13 გოგონა კი 30 წამში (საქართველოს სახალხო დამცველი, 2013, გვ. 17).

„ადგილობრივი შესაძლებლობების გაძლიერება ბავშვთა უფლებების დაცვისთვის“ პროექტის მიერ შემუშავებული საკითხავი მასალიდან ირკვევა, რომ 2011 – 2015 წლებში 6,277 გოგონამ მიატოვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, მათ შორის 2014–2015 სასწავლო წელს, საქართველოში მე–9 კლასის დასრულებამდე სწავლა 1804–მა გოგონამ შეწყვიტა. აღსანიშნავია, რომ მასალის შესაბამისად სწავლის შეწყვეტის ძირითად მიზეზს ადრეული ქორწინება წარმოადგენს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემებით 2008-2015 წლებში 5903 არასრულწლოვანთა ქორწინება დარეგისტრირდა (აიპ სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი, 2016, „არასრულწლოვანთა ქორწინება“). აღნიშნული მონაცემი ასახავს, როგორც ისეთ შემთხვევებს, როცა ქორწინების ერთ-ერთი მხარება არასრულწლოვანი, ასევე, როცა ორივე მეუღლე არასრულწლოვანია. ეს საკმაოდ დიდი მაჩვენებელია იმის გათვალისწინებით, რომ ასახავს რეგისტრირებულ ქორწინებას, ხოლო არარეგისტრირებული კავშირების შესახებ ინფორმაცია არ არის გამოკვლეული.

კვლევების მონაცემები არ არის ზუსტი, როგორც აღვნიშნეთ ქორწინების აღრიცხვის სირთულიდან გამომდინარე, სინამდვილეში ადრეული ქორწინების მაჩვენებელი ბევრად აღემატება აღრიცხულ მონაცემებს.

ადამიანისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთისთვის, მათ შორის, არასრულწლოვანისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთისთვის (მათ შორის მოტაცება ქორწინების მიზნით), პირთა მიმართ დევნის მაჩვენებელი მკვეთრად გაზრდილია. კერძოდ 2014 წელს დაკავებული იყო 11 პიროვნება, ხოლო 2015 წელს რაოდენობამ 60-ს მიაღწია (საქართველოს სახალხო დამცველი, 2016).

2.4.2 კვლევები

საქართველოში ადრეული ქორწინების მიზეზების და შედეგების შესახებ კვლევები თითქმის არ არსებობს. არსებულ კვლევებში ძირითადად რეპროდუქციული ჯანმრთელობა და ადამიანის უფლებების დარღვევაა ნაკვლევი. ამის მიზეზი შესაძლოა ადრეული ქორწინების პრობლემის ხანგრძლივი დროის განმავლობაში უხილაობაა. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია ადრეული ქორწინების, როგორც ცალკე პრობლემის აღქმა და, როგორც განათლების და განვითარების ერთ-ერთი ბარიერის, კვლევა.

საქართველოს სახალხო დამცველმა 2016 წელს გამოაქვეყნა სპეციალური ანგარიში „ადრეულ ასაკში ქორწინება: გამომწვევი და გადაჭრის გზები“, სადაც აღწერილია 2015- 2016 წლებში გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის მიერ ჩატარდა 30 შეხვედრა. შეხვედრები გაიმართა სამცხე–ჯავახეთის, ქვემო ქართლის, კახეთის რეგიონებში, ასევე აჭარის ა/რ მაღალმთიან სოფლებში. სულ ჩატარდა 30 შეხვედრა, 22 ქალაქსა და სოფელში, 750 პირის მონაწილეობით. ანგარიშის მიზანს მიღებული ინფორმაციის გაანალიზება, არსებული პრობლემებისა და შესაძლო გადაჭრის გზების გამოკვეთა გახლდათ. „საკითხის შესწავლამ ცხადყო, რომ მთავარ გამოწვევას საზოგადოების ცნობიერების დაბალი დონე, სერვისების მიწოდებისას არსებული ხარვეზები და არაეფექტური რეაგირება წარმოადგენს. ეს პრობლემები განსაკუთრებით მაღალმთიან და ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ რეგიონებში იჩენს თავს, სადაც სერვისებზე ხელმისაწვდომობა რიგი მიზეზების გამო რთულდება“ (საქართველოს სახალხო დამცველი, 2016, გვ.2).

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ადრეული ქორწინების პრობლემის და მისი გადაჭრის გზების შესახებ არასრულწლოვნებთან მომუშავე პერსონალის ცნობიერების დონე საკმაოდ დაბალია. არასრულწლოვანთათვის სერვისის მიმწოდებელ ადამიანებს არ გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა მათი ვალდებულებების და პრობლემის მასშტაბების შესახებ. ასევე გამოიკვეთა, რომ საგანმანათლებლო

დაწესებულების პედაგოგები არ ეთანხმებიან ორსული გოგონების სკოლაში სიარულს, რითაც არღვევენ ბავშვების უფლებებს. ფიქრობენ, რომ სკოლაც უნდა იყოს ჩართული აღნიშნული საკითხის მოგვარებაში, თუმცა პრობლემის გადაჭრის გზებს ვერ გვთავაზობენ.

„გოგონებს არ აქვთ ინფორმაცია სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ. მათთვის უცნობია თუ როგორ უნდა მოიქცნენ ორსულობის შემთხვევაში, რისი უფლება აქვთ, როგორია აბორტზე ხელმისაწვდომობა, კონფიდენციალურობის საკითხი და ა.შ. გოგონებმა არ იციან კონტრაცეპტივების შესახებ და მათი ცნობიერება, როგორც მათი მნიშვნელობის, ასევე გამოყენების საკითხებში ძალიან დაბალია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მათთვის სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ სპეციალისტთა მიერ სემინარების ორგანიზება, რადგან აქვთ კითხვები, რომლებზეც სპეციალისტების კონსულტაცია ესაჭიროებათ“ - ნათქვამია სახალხო დამცველის ანგარიშში.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ „ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინებისა და ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების/კვეთის საზიანო პრაქტიკები საქართველოში“ ანგარიშის ფარგლებში ჩატარდა და 2017 წელს გამოქვეყნდა კვლევა. „კვლევის მიზანია, გამოავლინოს, თუ რას ეფუძნება საქართველოში ადრეული/ ბავშვობის ასაკში ქორწინების და ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრება/კვეთის მიმართ არსებული დამოკიდებულებები, ნორმები და პრაქტიკა და გამოკვეთოს ის რისკები და შესაძლებლობები, რომელიც თან ახლავს ამ პრობლემის გადაჭრას. კვლევის ფარგლებში ყურადღება იმ მსგავსებებსა და განსხვავებებსაც მიექცა, რომელიც რეგიონებს სოფელსა და ქალაქს, ეთნიკურ ჯგუფებს, ასევე სხვადასხვა ენობრივ და რელიგიურ ჯგუფს შორის არსებობს. კვლევის ძირითადი კითხვები იყო“ - ნათქვამია ხსენებულ ანგარიშში. კვლევის კითხვებს შორის იყო: რა არის ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების გამომწვევი ძირითადი ფაქტორები და მისი შედეგები? რა რისკები და დაცვის ფაქტორები არსებობს ქვეყანაში ამ

პრაქტიკასთან დაკავშირებით? კვლევამ მოიცვა საქართველოს დედაქალაქი და 10 რეგიონი და რაიონი: თბილისში, აჭარაში, გურიაში, იმერეთში, კახეთში, მცხეთა-მთიანეთში, ქვემო ქართლში, რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, სამცხე-ჯავახეთსა და შიდა ქართლში. იქნა შერჩეული შემდეგი სამიზნე ჯგუფები: დაქორწინებული გოგონები/ახალგაზრდა ქალები. ასაკობრივი ჯგუფები: 12-17, 18-24, 25-34 ; დაუქორწინებელი გოგონები/ახალგაზრდა ქალები. ასაკობრივი ჯგუფი: 12-17; დაქორწინებული ვაჟები/ახალგაზრდა კაცები. ასაკობრივი ჯგუფები: 12-17, 18-24, 25-34; დაუქორწინებელი ვაჟები/ახალგაზრდა კაცები. ასაკობრივი ჯგუფი:12-17; დაქორწინებული წყვილების ოჯახის წევრები; სხვა პირები (მასწავლებლები, ექიმები, სკოლის ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები), გადაწყვეტილების მიმღებები, აგრეთვე ადგილობრივი თემის და რელიგიური ლიდერები. ჩაღრმავებული ინტერვიუებისა და ფოკუსჯგუფებში განხილვის შედეგად გამოვლინდა საქართველოში ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების რამდენიმე გამომწვევი ფაქტორი: 1. ნორმები, რომლებიც ახალგაზრდებს უზღუდავს შესაძლებლობას, თავისუფლად შეხვდნენ მეგობარ გოგოს/ბიჭს, რის გამოც ისინი გამოსავალს დაქორწინებაში ხედავენ. 2. ქორწინებამდე სქესობრივი კავშირის ტაბუს. 3. მამაკაცურობასთან დაკავშირებული ნორმები, რომელიც ხელს უწყობს ბიჭის, როგორც სექსუალური ქმნილების, იმიჯის განმტკიცებას და ბიძგს აძლევს ბიჭებში სქესობრივი გამოცდილების მოზარდობაშივე მიღების სურვილს. 4. ტექნოლოგიების ინტენსიური გამოყენებამ რეალურ ცხოვრებაში ურთიერთობიდ დამყარების სურვილი გაამძაფრა. 5. ეკონომიკური პრობლემები. 6. ნორმები, რომელიც 30 წლის და უფროსი ასაკის დაუქორწინებელი ქალების სტიგმატიზებას ახდენს და მათზე სოციალურო ზეწოლის განხორციელებას უწყობს ხელს. კვლევაში განხილულია ადრეული ქორწინების გავლენა განათლებაზე, ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, გენდერულ თანასწორობაზე, სოციალიზაციის შესაზლებლობაზე, ოჯახში ძალადობაზე და განქორიწნებაზე, თუმცა ჩვენი თემიდან გამომდინარე ძირითად აქცენტს განათლების ხელმისაწვდომობაზე გავაკეთებთ.

„რესპონდენტების უმეტესობის აზრით გოგონები, რომლებიც ადრე ქორწინდებიან, ტოვებენ სკოლას. ამგვარი პრაქტიკის ერთ-ერთი მიზეზია იმ მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების დაბალანსებასთან დაკავშირებული სიძნელეები, რომელთა შესრულებასაც დაქორწინებული გოგონებისგან ელიან. საშუალო და უმაღლესი განათლება ბიჭებისთვის უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე გოგონებისთვის, რომელთაც სიღარიბე და მასთან დაკავშირებული ფინანსური სიძნელეები ხშირად წინააღმდეგობებს უქმნით საშუალო და უმაღლესი განათლების გზაზე. გარდა ამისა, ქორწინების შემდეგ გოგონების მიერ განათლების გაგრძელების გადაწყვეტილებას ხშირად მათი ქმარები ან დედამთილები/მამამთილები იღებენ. კვლევის შედეგები და მიგნებები ხაზს უსვამს გოგონებისთვის განათლებაზე ხელმისაწვდომობის და განათლების სისტემაში დარჩენის მნიშვნელობას იმ ნორმების აღმოფხვრის მეშვეობით, რომლებიც პრიორიტეტს ბიჭების განათლებას ანიჭებს „გოგონების განათლების ხარჯზე“, ხოლო გოგონების დანიშნულებად მხოლოდ ზრუნვასა და მოვლას“ - ნათქვამია ანგარიშში. (ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინებისა და ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების/კვეთის საზიანო პრაქტიკები საქართველოში, 2017, გაეროს მოსახლეობის ფონდი)

საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიშში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ ცალკე თავი არის გამოყოფილი ადრეული ქორწინების შესწავლას. 2018 წელს საქართველოს სახალხო დამცველმა ადრეული ქორწინების და ნიშნობის 45 საქმე შეისწავლა, რომელთა მიხედვით მოხდა ძირითადი პრობლემების გამოკვეთა. სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი საქმეების შედეგები ცხადყოფს ადრეული ქორწინების პრობლემაზე მომუშავე უწყებათაშორის თანამშრომლობის ხარვეზებს (სამართალდამცავი ორგანო, სოციალური მომსახურები სააგენტო, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება). აღსანიშნავია. ანგარიშში ნათქვამია, რომ ზოგიერთი სკოლა ხელს აფარებს ადრეული ქორწინების შემთხვევებს და სათანადოდ არ აღრიცხავს გოგონების საგანმანათლებლო დაწესებულების დასწრების საათებს. ანალიზი ცხადყოფს სსკ 140 მუხლის მოუქნელობას, ვინაიდან

ორი არასრულწლოვნის თანაცხოვრება არ წარმოადგენს სისხლის სამართლებრივი დევნის საფუძველი.

„ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ რეგიონებში კვლავ გადაუჭრელია გოგოების ქორწინების მიზნით თავისუფლების უკანონო აღკვეთის შემთხვევები. საქმეთა შესწავლის შედეგად ჩანს, რომ როდესაც საქმე ეთნიკურ უმცირესობას ეხება, ამ კონკრეტულ დანაშაულთან მიმართებით მკაცრი პოლიტიკა არ ტარდება“- ნათქვამია ანგარიშში (საქართველოს სახალხო დამცველი, 2018, გვ.179).

გამოკვეთილ ხარვეზებს შორის ასევე გოგონების მიერ მოტაცების თავიდან აცილების მიზნით საგანმანათლებლო დაწესებულების გაცდენა და ადრეულ ასაკში გოგონების ნიშნობა.

საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის პუბლიკაციის „სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები: ეროვნული შეფასება“-ის ფარგლებში ჩატარდა კვლევა, რომელიც ასევე მოიცავდა ადამიანის სექსუალობის შესახებ კომპლექსური განათლების საკითხს. კვლევა ჩატარდა თბილისში, კახეთში, სამცხე-ჯავახეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთსა და აჭარაში.

სახალხო დამცველის მხრიდან პუბლიკაციაზე მუშაობის ფარგლებში მოხდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთვის წერილობითი მიმართვა, რომლის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ჯანსაღი ცხოვრების წესის ინტეგრაციისათვის, ფორმალური განათლების სისტემაში ორი ძირითადი საგანი გადაიხედა: „ბიოლოგია“ და „სამოქალაქო განათლება“. თუმცა, აღნიშნულმა ინიციატივამ არასრულწლოვანთა ინფორმირებულობის დონეზე მკვეთრი გავლენა არ იქონია.

„ბოლო წლებში ახალგაზრდების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესახებ ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ ახალგაზრდების ცოდნა და ინფორმირებულობა სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე, დაბალია, აღნიშნულს ხელს უწყობს სკოლებისა და მასწავლებელთა

მოუმზადებლობა, სწავლების ხარვეზული მეთოდიკა და სექსუალობასთან დაკავშირებული კულტურული ტაბუ. წინამდებარე მონიტორინგიც აჩვენებს, რომ მოზარდების ცოდნა კვლავ არასაკმარისი და ზედაპირულია, პრობლემად რჩება მასწავლებელთა მხრიდან ინფორმაციის გადაცემის ფორმა და ინფორმაციის შინაარსობრივი მხარე, რომელიც არ არის ამომწურავი და ხშირად ზედაპირულია“- ნათქვამია პუბლიკაციაში.

კვლევის ფარგლებში ჩართებული ფოკუს ჯგუფების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგანმანათლებლო სივრცეში სექსუალური განათლება თითქმის არ ხორციელდება. აღსანიშნავია, რომ მონაცემები სხვადასხვა რეგიონში იდენტურია, რაც მიგვანიშნებს, რომ პრობლემა ქვეყნის მასშტაბით არის გავრცელებული. მონიტორინგის მიერ მოხდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სექსუალური განათლების სწავლების მეთოდიკის შეფასება, რა დროს გამოიკვეთა სწავლების რამოდენიმე ხარვეზი, როგორიცაა მასწავლებლის მიერ პროგრამულად გათვალისწინებული საათების გამოტოვება, მოსწავლეებისთვის საშიანო დავალების სახით საკითხის გაცნობა/შესწავლა ახსნისა და განხილვის გარეშე და კლასის სქესის მიხედვით დაყოფა აღნიშნული საკითხის განხილვის მიზნით. აღსანიშნავია, რომ სკოლას აქვს დამატებითი საგნის არჩევის უფლება მე-10 და მე-11 კლასებში, რომელსაც სკოლათა უმრავლესობა არ ირჩევს: „სკოლებს აქვთ შესაძლებლობა, აირჩიონ ერთი დამატებითი საგანი X და XI კლასებში, რომელთა შორის ასევე არის სამედიცინო ბიოლოგია და ჯანსაღი ცხოვრების წესი, არჩევითი საგნის არსებობა (თუ სკოლა დასახელებულთაგან ერთ-ერთს აირჩევს) შესაძლებლობას იძლევა სექსუალურ განათლებასა და ჯანსაღ ცხოვრების წესთან დაკავშირებული საკითხები მე-8 კლასის შემდგომაც განიხილებოდეს. თუმცა, ცხადია, სკოლათა მხოლოდ მცირე ნაწილი ირჩევს დასახელებულ საგნებს, რაც სექსუალური განათლების სწავლების უწყვეტობის გარანტი ვერ გახდება“ (საქართველოს სახალხო დამცველის, 2019, გვ.53).

აღსანიშნავია, რომ მე-8 კლასში სექსუალურ განათლებაზე და ადრეული ქორწინების შედეგებზე საუბრისას მოზარდებს აქვთ შეუსაბამო რეაქცია და

საქილიკო დამოკიდებულება, რაც კვლევაში მონაწილე მასწავლებლების თქმით, გამოწვეულია საკითხის მიმართ შეუმზადებლობით. გამოსავალს კი აღნიშნული საკითხის მოსწავლეებისთვის დაწყებითი საფეხურიდან გაცნობაში ხედავენ.

2.5 საზღვარგარეთის პოლიტიკა

ადრეული ქორწინების, როგორც სოციალური პრობლემის განხილვის დროს მნიშვნელოვანია გავიაზროთ მისი მასშტაბები, ვინაიდან ის ისეთ განვითარებულ ქვეყნებშიც არის გავრცელებული, როგორიც გერმანია, ფინეთი, ჰოლანდია და ესტონეთია. აღსანიშნავია, რომ ფინეთმა მხოლოდ 2019 წლის 1 ივნისს მიიღო კანონი, რომლის მიხედვით ქორწინების მინიმალურ ასაკად 18 წელი განისაზღვრა. მანამდე, 1929 წელს მიღებული კანონით ხელმძღვანელობდა ქვეყანა, რომელიც უშვებდა ორსულობისა ან შვილის ყოლის შემთხვევაში არასრულწლოვან ასაკში ქორწინების დაკანონებას[9]. ფინეთის ბავშვთა უფლებების დამცველი, ტოუმას კურტტილასი ამბობ, რომ ადრეული ქორწინების მაჩვენებლის შემცირებისთვის, იგი უნდა აკრძალულიყო კანონით. ფინეთის იუნისეფის წარმომადგენელი ინკა ხეტემიაკი კი აღნიშნავს, რომ საზღვარგარეთ დარეგისტრირებული ადრეული ქორწინებებიც უნდა იყოს გაუქმებული ფინეთში დაბრუნების შემთხვევაში. ფინეთში 1995 წლიდან 2014 წლამდე ადრეული ქორწინების 1138 შემთქვევა ფიქსირდებოდა წელიწადში, მათ შორის აბსოლუტურ უმრავლესობას გოგონები წარმოადგენდნენ (869)[10].

ფინეთისგან განსხვავებით, ესტონეთში დღემდე ნებადართულია ადრეული ქორწინება. ქორწინების მინიმალური ასაკი 15 წელს შეადგენს და სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე ხდება ურთიერთობის დაკანონება. გადაწყვეტილება მიიღება არასრულწლოვნის უნარების შეფასების საფუძველზე,

[9] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://yle.fi/uutiset/osasto/news/child_marriage ban_takes_effect_in_finland/10811843

[10] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://ee.sputniknews.ru/news/20171125/8117965/Finny-mogut-zapretj-brak-nesovershennoletnije.html

რომელიც მნიშვნელოვანია ოჯახის შენარჩუნებისთვის. ნებართვის გაცემის ერთ-ერთ მიზეზს ორსულობა ან შვილის ყოლა წარმოადგენს.

2017 წლის ივნისში გერმანიამ მიიღო კანონი, რომელიც კრძალავს ადრეულ ქორწინებას, რომელიც მანამდე იყო დაშვებული კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის არსებობის შემთხვევაში. ამასთან, კანონი აბათილებს ყველა ქორწინებას, რომელიც რეგისტრაციის დროისთვის ერთი მხარე მაინც იყო არასრულწლოვანი, მათ შორის საზღვარგარეთ რეგისტრირებულ ქორწინებებს. კანონი უშვებს ქორწინების შენარჩუნებას, იმ შემთხვევაში, თუ მხარე დაადასტურებს, რომ არ სურს ქორწინების ანულირება. ოპოზიციამ კანონს მხარი არ დაუჭირა , თუმცა ქალთა უფლებების დაცვის ორგანიზაციის Terre Des Femmes თავმჯდომარე კრისტა სტოლლე მას მხარი დაუჭირა, ვინაიდან ის აწესებს ადრეული ქორწინების მკვეთრ რეგულაციებს და აღნიშნა, რომ გოგონები, რომლებიც ქორწინედებიან არასრულწლოვან ასაკში ხშირ შემთხვევაში არიან დამოკიდებულები მეუღლეებზე და არ შეუძლიათ მათ მომავლალთან მიმართებაში დამოუკიდებელად გადაწყვეტილების მიღება[11]. მიიჩნევა, რომ გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია სახელმწიფომ იმუშაოს გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრაზე. ამ კუთხით, გერმანია ახორციელებდა სისტემატიურ ღონისძიებებს, რომლების ხელს უწყობდნენ გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას და გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრას. აღსანიშნავია, რომ გერმანიის სკოლებში ისწავლება სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია, რომელიც ასევე შეიცავს გენდერული თანასწორობის საკითხებს, ადრეული და იძულებით ქორწინების შესახებ ინფორმაციას[12]. ხაზგასასმელია, რომ სწავლება იწყება დაწყებით საფეხურზე და შესაბამისი დოზით, და ფორმით მიეწოდება ბავშვებს, ატარებს ეტაპობრივ ხასიათს, რომელიც უწყვეტად მიმდინარეობს სწავლის ყველა საფეხურზე.

---

[11] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://www.thelocal.de/20170602/german-parliament-passes-law-ending-child-marriage

[12] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://www.refworld.org/cgi-bin/texis/vtx/rwmain/opendocpdf.pdf?reldoc=y&docid=4784943d2

თავი III კვლევითი ნაწილი

3.1 კვლევის მიზნები და ამოცანები

კვლევის მიზანს წარმოადგენს ადრეული ქორწინების გავლენის შესწავლა განათლების მიღების პერსპექტივაზე და განათლების სისტემის ჩართულობის შეფასებას ადრეული ქორწინების პრევენციაში.

კვლევის ზოგადი მიზნიდან გამომდინარე, შესაძლებელია კონკრეტული ამოცანების ჩამოყალიბება:

- ადრეული დაოჯახების , როგორც განათლების მიღების ბარიერის შესწავლა
- განათლების მიმართ ახალგაზრდების დამოკიდებულების შესწავლა
- განათლების სისტემის პრევენციული ღონისძიებების შესწავლა

კვლევის ფარგლებში ვეცდები პასუხი გავცე შემდეგ საკვლევ კითხვებს:

1. წარმოშობს თუ არა ადრეული ქორწინება საგანმანათლებლო პროცესში ჩართულობის ბარიერებს?
2. როგორია დაოჯახებულ არასრულწლოვანთა მოტივაცია განათლების მიღების/გაგრძელების მიმართ?
3. ხორციელდება თუ არა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ადრეული ქორწინების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, სწავლების ხარისხის შემოწმება და/ან მასწავლებლების გადამზადება ?

3.2 სამიზნე ჯგუფი

სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორები, მასწავლებლები, ადრეულ ასაკში დაქორწინებული ახალგაზრდები, განათლების ექსპერტები.

კვლევის მონაწილეები შეირჩევიან შემდეგნაირად:

- არასრულწლოვანი დაოჯახებული რესპოდენტები - „თოვლის გუნდას“ და მიზნობრივი შერჩევის მეთოდით
- დირექტორები და მასწავლებლები - მიზნობრივი შერჩევის მეთოდით
- განათლების ექსპერტები - მიზნობრივი შერჩევის მეთოდით.

კვლევისთვის შეირჩევა 20 ადრეულ ასაკში დაოჯახებული ახალგაზრდა, 10 ზოგადსაგანმანატლებლო დაწესებულების წარმომადგენელი და 2 განათლების ექსპერტი.

3.3 კვლევის მეთოდი და დიზაინი

კვლევის მეთოდი: კვლევა ჩატარდა თვისებრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით, კეროდ, ჩაღრმავებული ინტერვიუ და ფოკუს-ჯგუფი. კვლევის სამიზნე ჯგუფი შეირჩა მიზნობრივი შერჩევისა და „თოვლის გუნდას“ პრინციპის გამოყენებით. ჩაღრმავებული ინტერვიუ - არასრულწლოვან ასაკში დაქორწინებულ ახალგაზრდებთან და განათლების ექსპერტებთან, ფოკუს-ჯგუფი - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებთან.

ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდის გამოყენება ყველაზე უკეთ იძლევა სიღრმისეული ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობას, ვინაიდან ადრეული ქორწინების შესახებ დეტალური ინფორმაციის მოძიება კითხვარის მეშვეობით ვერ მოხერხდება. ინტერვიუს პროცესში შედარებით ნაკლებია რესპონდენტის მიერ მოტყუების ალბათობა, ეს მეთოდი საშუალებას იძლება საჭიროების შემთხვევაში მოხდეს ჩაძიება კითხვაში და ინტერვიუს სასურველი მიმართულებით წაყვანა. კვლევის სხვა მეთოდებთან შედარებით მეტია რესპონდენტის ნდობის მოპოვებისა და გულწრფელი პასუხების მიღების ალბათობა.

ასევე, გამოყენებულ იქნება ფოკუს-ჯგუფის მეთოდიც, რომელიც დაკომპლექტებული იქნება 5-5 მასწავლებლისგან 2 სკოლიდან.

3.4 კვლევის გეგმა

კვლევის პირველ საფეხურზე მოხდა საკვლევ საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურის მიმოხილვა, მოძიება და დამუშავება.

კვლევის მეორე ეტაპზე მოხდა კვლევის მიზნისა და ამოცანების, შერჩევისა და კვლევის მეთოდების განსაზღვრა. შემუშავდა კვლევის ინსტრუმენტი, გეგმა თემატიკებით, რის მიხედვითაც უნდა მოხდეს ინტერვიუების წარმართვა. ინტერვიუს პროცესში დიდი ყურადღება გამახვილდა საკვლევ შეკითხვებსა და ამოცანებზე.

კვლევის მესამე ეტაპზე მოხდა ინფორმაციის შეგროვება. დაიგეგმება ფოკუს-ჯგუფი ქ.თბილისის 181 საჯარო სკოლასა და 155-ე საჯარო სკოლებში, სადაც კვლევა ჩატარდა სულ 8 მასწავლებელთან და 2 დირექტორთან. ასევე დაიგეგმა ჩაღრმავებული ინტერვიუ განათლების ექსპერტებთან (სულ 2) და არასრულწლოვან ასაკში დაოჯახებულ არასრულწლოვნებთან (სულ 20).

კვლევის შედეგები

ინფორმაციის შეგროვების შემდგომ მოხდა მოპოვებული ინფორმაციის კოდირება და გაშიფრვა. გაშიფრული მონაცემების საკვლევი საკითხების მიხედვით გაანალიზება და ჩამოყალიბება.

ჩაღრმავებული ინტერვიუ არასრულწლოვან ასაკში დაოჯახებულებთან

ჩაღრმავებული ინტერვიუ არასრულწლოვან დაოჯახებულ ქალებთან ჩატარდა მიზნობრივი შერჩევით და „თოვლის გუნდას“ მეთოდის გამოყენებით. ძირითადი რესპოდენტების მოძიება მოხდა ჩემი სამსახურებრივი გამოცდილების დახმარებით, უმეტესობა მათგანთან მაკავშირებს სამუშაო ურთიერთობა. ხოლო სხვა რესპოდენტების მოძიება მოხდა „თოვლის გუნდას“ მეთოდის გამოყენებით.

გამოკითხულთა მინიმალური ასაკი 21 წელს შეადგენს, ხოლო მაქსიმალური ასაკი 42 წელს. რესპოდენტთა დაოჯახების ასაკი 14 წლის ასაკიდან 17 წლის ასაკამდე მერყეობს. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ 80% შვილი თანაცხოვრების პირველ ან მეორე წელს ეყოლა. არასრულწლოვანთა მხოლოდ 30% აქვს მიღებული სრული საშუალო განათლება, 60% ზოგადი განათლება აქვს მიღებული, ხოლო 10% მე-8-ე კლასში შეწყვიტა სწავლა. გოგონების უმეტესობას არ აქვთ დასრულებული საშუალო სკოლა, რაც რიგ შემთხვევაში მათი არჩევანი არ არის: „8 კლასი დავამთავრე და გათხოვების შემდეგ ისეთ ოჯახში მოვხვდი, სკოლის დამთავრებაზე უარი მითხრა დედამთილმა“, „არ უნდოდათ სწავლა გამეგრძელებინა და მეათე კლასიდან გამოვედი, მას მერე არსად მისწავლია“, „ძმები მზრდიდნენ, გარეთ არ მიშვებდნენ, არ ჰქონდა მნიშვნელობა სკოლაში მივდიოდი, თუ გასართობად“. ხაზგასასმელია, რომ იმ გოგონებს, რომლებმაც გააგრძელეს სწავლა კოლეჯში ან უმაღლეს სასწავლებელში (სულ 2 რესპოდენტი) ყავდათ ძლიერი თანადგომის ქსელი, რომელიც ხელს უწყობდა მათ განათლებას: „დედამთილი და დედა მეხმარებოდნენ, ხან ერთთან ვტოვებდი ბავშვს, ხან მეორესთან. ისინი რომ არა, პროფესიული განათლებაც არ მექნებოდა“. თუმცა, გამოკითხულთა შორის 10% სწავლის გაგრძელების სურვილი სკოლის

დასრულების შემდეგ არ ჰქონია: „არა, არც მიფიქრია“. მნიშვნელოვანია ასევე განათლების მიმართ დამოკიდებულება შვილების გაზრდის შემდეგ, უმეტესობა რესპოდენტებისა არც კი ისახავს მიზნად სწავლის გაგრძელებას. კითხვაზე უფიქრიათ, თუ არა სწავლის გაგრძელებაზე შვილების წამოზრდის შემდეგ უმეტესობამ აღნიშნა, რომ გათხოვების შემდეგ სწავლაზე აღარც უნდა იფიქრო: „გავთხოვდი და ვერც გავაგრძელე სწავლა. როცა თხოვდები და იცი რა გელოდება სწავლა უნდა გადადო და თავი ოჯახს მიუძღვნა“, „ახლა უკვე გვიანია სწავლის გაგრძელებაზე ფიქრი, შვილი სკოლაში დადის და მას მივცემ რაც მე დამაკლა“, „ახლა ჩემს სწავლაზე ვეღარ ვფიქრობ, ახლა მხოლოდ შვილების განათლებაზე ვზრუნავ“.

ყურადსაღებია, რომ ადრეული ქორწინება ძირითად შემთხვევებში თავად ახალგაზრდების გადაწყვეტილება იყო: „მიყვარდა და ჩემი ნებით გავყევი“. ნაწილი რესპოდენტის შემთხვევაში დაოჯახების მიზეზი მოტაცება იყო: „არ იყო ჩემი არჩევანი, მომიტაცეს“, „მომიტაცეს და მშობლების გადაწყვეტილებით დავრჩი, არ მიყვარდა“. ხოლო ნაწილი რესპოდენტის შემთხვევაში ოჯახში არსებულმა ვითარებამ აიძულა გადაედგათ ეს ნაბიჯი: „ძმასთან მქონდა დაძაბული ურთიერთობა და გათხოვება ვამჯობინე“, „ოჯახში 3 ძმა მყავდა მოსავლელი, დედა არ მყავდა, ყველა საქმეს მე ვაკეთებდი და მეგონა, თუ გავთხოვდებოდი თავს ვუშველიდი“. გამოკითხულთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ მათ დაოჯახებამ გამოიწვია კონფლიქტი მშობლებთან, რომლებსაც არ სურდათ შვილების ადრეული ქორწინება: „ძალიან გამიბრაზდნენ, არ მეგონდა ოდესმე თუ მაპატიებდნენ, თუმცა დროთა განმავლობაში აღვიდგინეთ ურთიერთობა“ .

საინტერესოა ასევე რესპოდენტების დამოკიდებულება დასაქმების მიმართ. რესპოდენტების ნახევარი არის დასაქმებული, თუმცა დანარჩენები გამოთქვამენ დასაქმების და ფინანსური დამოუკიდებლობის სურვილს: „ძალიან მინდა მქონდეს სამსახური, ჩემი საქმე“. რესპოდენტთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ მათ თავისუფალი დრო თითქმის არ აქვთ, ძირითადად საოჯახო საქმეებით არიან

დაკავებული.

გამოკითხულთა 90% აღნიშნა, რომ დაოჯახებამდე მათთვის არ იყო ცნობილი ადრეული ქორწინების შედეგები, არ ჰქონდათ გააზრებული ოჯახის შექმნის პასუხისმგებლობა, არ იცოდნენ რას ნიშნავს ოჯახის დაგეგმვა და მასთან დაკავშირებული სირთულეები თუ პასუხისმგებლობა. ხოლო დარჩენილი 10% შემთხვევაში, მათ ოჯახის წევრებისგან ჰქონდათ მიახლოებული, ზედაპირული ინფორმაცია ადრეული ქორწინების,სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ. რესპოდენტთა აზრით, ადრეული ქორწინების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის ფლობის შემთხვევაში ისინი არ მიიღებდნენ დაოჯახების გადაწყვეტილებას და ჯერ განათლებასა და მათ კარიერას ააწყობნენ.

კითხვაზე, თუ როგორი იქნებოდა მათი ცხოვრება რომ არა ადრეული ქროწინება აღნიშნავენ, რომ მათი ცხოვრება იქნებოდა სულ სხვანაირი: „ალბათ ვისწავლიდი უნივერსიტეტში და გვიან შევქმნიდი ოჯახს“, „ბევრი ოცნება მქონდა, მინდოდა ვყოფილიყავი დიზაინერი“, „ძალიან მინდოდა სტილისტობა, რომ არა დაოჯახება აუცილებლად შევიძენდი პროფესიას“, „ჩემი ცხოვრება სულ სხვანაირი იქნებოდა, აუცილებლად ვისწავლიდი და ვიქნებოდი ექიმი“, „ბევრად უკეთესი ცხოვრება მექნებოდა, ვისწავლიდი და ჩემი საქმეც მექნებოდა“...

დაოჯახებული ახალგაზრდების ერთადერთი ცხოვრების მიზანი არის შვილების განათლება და მათი კეთილდღეობა.

ფოკუს ჯგუფი მასწავლებლებთან

კვლევისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციად ჩაითვალა მასწავლებლების და დირექტორების მოსაზრება საკვლევ საკითხთან მიმართებაში, ვინაიდან სწორედ მათ აქვს ყველაზე ახლო ურთიერთობა მოსწავლეებთან. კვლევისთვის შეირჩა ორი N181 და N155 სკოლა, სადაც იყო დაფიქსირებული ადრეულ ასაკში დაოჯახების ფაქტები. კვლევაში მონაწილე რესპოდენტების ასაკი მერყეობს 24-დან 56-წლამდე. აღსანიშნავია, რომ მათი პოზიცია უმეტესწილად არის კორელაციაში მათ ასაკთან. ორივე სკოლაში ფოკუს-ჯგუფი ქალი-

მასწავლებლებით დაკომპლექტდა, რომელთა სტაჟი 4 წლიდან 20 წლამდე მერყეობს.

ფოკუს-ჯგუფის დაწყების პროცესში ვთხოვე რესპოდენტებს გაეხსენათ მოსწავლეების ნაადრევად დაოჯახების შემთხვევები. მსჯელობის შედეგად გამოიკვეთა, რომ უკანასკნელი 2-3 წლის განმავლობაში მათ სკოლაში ადრეული ქორწინების 2-4 შემთხვევა დაფიქსირდა, რაც უმეტეს შემთხვევაში ახალგაზრდების გადაწყვეტილება იყო, თუმცა რიგ შემთხვევაში კი დაოჯახების მიზეზი დისფუნქციური ოჯახი გახდა. აღსანიშნავია, რომ ფოკუს-ჯგუფის ყველა მონაწილე გმობს ადრეულ ქორწინებას. კითხვაზე, თუ რა არის ადრეული ქორწინების განმაპირობებელი გარემოება პასუხობენ: „უფრო მეტად ოჯახი, რომელშიც იზრდება არასრულწლოვანი“, „ინფორმაციის ნაკლებობა, კულტურა მენტალიტეტი“, „ინფორმაციის ნაკლებობა და გენდერული ასპექტები“.

საინტერესო იყო მასწავლებლების პოზიცია ადრეული ქორწინების შესახებ ინფორმაციის სასკოლო გარემოში სწავლების შესახებ. აქ მასწავლებლების მოსაზრება ორად იყოფა - ერთნი თვლიან, რომ ინფორმაცია ბავშვებისთვის მინიმალურად უნდა იქნას მიწოდებული, მათი ასაკის შესაბამისად, ვინაიდან ზედმეტი ინფორმაცია გამოიწვევს ინტერესს და უბიძგებს მათ ამორალური საქციელის ჩადენისკენ, ხოლო მეორენი თვლიან, რომ განათლების დონე და სწორი ინფორმირებულობა საკითხთან მიმართებაში აუცილებელია და შეამცირებს ადრეული ქორწინების მაჩვენებელს.

კითხვაზე, არის თუ არა მიზანშეწონილი ადრეული ქორწინების, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის სწავლებისა ცალკე საგნის ფარგლებში მხოლოდ სამი მონაწილე პასუხობს დადებითად. ისინი აღნიშნავე, ხსენებულ საკითხებზე უფრო სიღრმისეული ინფორმაციის მიწოდებისთვის საჭიროა ცალკე საგანი იქნას გამოყოფილი, რომელსაც კვალიფიციური სპეციალისტი წაიყვანს და მოსწავლეებს ასაკის შესაბამისად მიაწვდის დეტალურ ინფორმაციას. რესპოდენტთა თქმის, ადრეული ქორწინების მაჩვენებლის შემცირებაზე ორიენტირებული აქტივობები სკოლაში არ

ტარდება, პირადად მასწავლებლის მოტივაციაზეა დამოკიდებული მოსწავლეებისთვის საკითხის ირგვლის ინფორმაციის მიწოდება, რისთვისაც სადამრიგებლო საათის გამოყენებაა შესაძლებელი.

რესპოდენტების აზრი ორად გაიყო ეროვნულ სასწავლო გეგმაში რაიმე სახის ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით. ერთნი ფიქრობენ, რომ ეროვნულ სასწავლო გეგმაში ცვლილება არ იქნება შედეგის მომცემი, ვინაიდან ძირითადად ოჯახი არის ადრეული ქორწინების მაპროვოცირებელი, ხოლო მეორენი თვლიან, რომ ადრეული ქროწინების თემა უფრო სიღრმისეულად უნდა ისწავლებოდეს და უფრო მეტი დრო უნდა იყოს გამოყოფილი აღნიშნული საკითხისთვის. თუ ის იქნება ცალკე საგნად გამოყოფილი, შესაძლებელი იქნება თემის არა მხოლოდ სოციალური ასპექტების შესწავლა, არამედ რეპროდუქციულ ჭრილში განხილვა.

საინტერესო იყო მასწავლებლების მოსაზრება დამატებითი რესურსის დანერგვასთან დაკავშირებით, რომელიც იქნება მიმართული ადრეული ქორწინების შესახებ ინფორმაციის ეფექტიანად სწავლებაზე. რესპოდენტებმა აღნიშნეს, რომ კარგი იქნება სხვადასხვა არასამთავრობო ორგნიზაციის პერმანენტული ვიზიტები სკოლაში, ექიმების ვიზიტები, რომლებიც ჩაატარებენ ტრენინგებს და მიაწვდიან კომპეტენტურ ინფორმაციას საკითხთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანი იქნება თემატური ფილმების ჩვენება, მაგალითების მოყვანა, თუ რა შედეგებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული ადრეული ქორწინება.

რესპოდენტთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა აღნიშნა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ადრეული ქროწინების თემისთვის უფრო მეტი ყურადრების დათმობამ, შესაძლოა მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ადრეული ქორწინების პრევენციაში, შეამციროს ადრეული ქროწინების მაჩვენებელი და დადებითად აისახოს არასრულწლოვნების ცნობიერების დონეზე.

ჩაღრმავებული ინტერვიუ ექსპერტებთან

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის მიზანს წარმოადგენდა ადრეული ქორწინების, როგორც განათლების შეწყვეტის ერთ-ერთი მიზეზის შესწავლა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების როლის კვლევა ადრეული ქორწინების პრევენციის საკითხში. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოხდა ჩაღრმავებული ინტერვიუს ჩატარება საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სკოლამდელი და ზოგადი განათლების დეპარტამენტის ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასწავლო რესურსების შესწავლის სამმართველოს სამოქალაქო განათლების ექსპერტთან და სახალხო დამცველის აპარატის გენდერის დეპარტამენტის უფროს სპეციალისტთან.

საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სკოლამდელი და ზოგადი განათლების დეპარტამენტის ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასწავლო რესურსების შესწავლის სამმართველოს სამოქალაქო განათლების ექსპერტთან ჩატარებული ჩაღრმავებული ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ რამდენიმე წელია სამინისტრო მუშაობს სახელმძღვანელოების გასრულყოფილებაზე და სასწავლო პროგრამის გამართვაზე. დღეის მდგომარეობით ადრეული ქორწინების პრობლემა საკმაოდ აქტუალურია განათლების სამინისტროში. 2019 წლიდან მე-7 კლასის სასწავლო პროგრამაში შესულია ახალი საგანი სახელწოდებით „მოქალაქეობა“, რომლის ფარგლებში არის ყურადღება გამახვილებული ადრეული ქორწინების, როგორც ადამიანის უფლებების დარღვევაზე და მის ნეგატიურ შედეგებზე.

კითხვაზე, თუ რა სამომავლო გეგმები აქვს სამინისტროს საკვლევ საკითხთან მიმართებაში ექსპერტმა აღნიშნა, რომ სამინისტრო გეგმავს ზოგადი განათლების საფეხურზეც შეიმუშაობს შესაბამისი სასწავლო მასალა „მოქალაქეობის“ საგნის ფარგლებში, რათა მაღალ კლასებში მოხდეს ადრეული ქორწინების და სხვა სოციალური საკითხების გააზრება.

მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ იგეგმება მასწავლებელთა გადამზადების პროცესის ადმინისტრირება და კომპეტენტური არასამთავრობო ორგანიზაციების მოწვევა, როგორიც არის „ჰერა XXI“ და „თანადგომა“, რომელთა მიერ მოხდება პედაგოგების გადამზადება ადრეული ქროწინებასა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

კითხვაზე, თუ როგორ ხდება ადრეული ქროწინების შესახებ ინფორმაციის სწავლების ხარისხის შეფასება, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ერთადერთი ბერკეტი არის სასწავლო წლის ბოლოს მოხდეს შესრულებული შემაჯამებელი ნამუშევრების გამოთხოვა სკოლებიდან, რომელთა გაანალიზების საფუძველზე შესაძლებელი იქნება სწავლების ხარისხის შემოწმება: „მოსწავლის ცოდნა არის სწავლების ხარისხის ერთადერთი შეფასების ინდექსი“. აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპისთვის სწავლების ხარისხი არ არის შესწავლილი სამინისტროს მიერ, თუმცა იგეგმება მიმდინარე სასწავლო წლის დასრულების შემდეგ.

ექსპერტმა ხაზი გაუსვა არსებულ სირთულეებს და აღნიშნა, რომ ამ ეტაპისთვის მასწავლებლები და საზოგადოება წარმოადგენს იმ მძლავს ბარიერს, რომლის გამოც ვერ ხერხდება ადრეული ქროწინების შესახებ დეტალური ინფორმაციის სწავლების დანერგვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში. სამინისტროს ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც ასევე აქტუალურია, არის ფინანსების ნაკლებობა, რომლის გამოც წლების განმავლობაში ვერ ხერხდებოდა მასწავლებლების გადამზადება ადრეული ქორწინების თუ სხვა საკითხთან დაკავშირებით. რეკომენდაციის სახით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვინაიდან ადრეული ქროწინების პრევენციაში საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი განათლების სისტემას აქვს, უნდა გაძლიერდეს საკითხის ირგვლივ სწავლების ხარისხი, რათა მოხდეს მოსწავლეების ცნობიერების დონის ამაღლება და სამომავლო ცხოვრებისთვის მზადება.

სახალხო დამცველის აპარატის გენდერის დეპარტამენტის უფროს სპეციალისტთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საქართველოში მძლავრად დგას ადრეული ქორწინების პრობლემა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ

რაოდენობრივი თვალსაზრისით თბილისში არსებული შემთხვევები განსხვავდება რეგიონებში არსებული მდგომარეობისგან - უფრო ნაკლებია, თუმცა თვისებრივი მდგომარეობა მსგავსია. ადრეული ქორწინების მიზეზებს შორის გენდერული ასპექტები, ინფორმაციის ნაკლებობა, ოჯახში ძალადობა, სიღარიბე, სამომავლო პერსპექტივების არ ქონა წარმოადგენს.

კითხვაზე, იწვევს თუ არა ადრეული ქორწინება განათლების შეწყვეტას ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაოჯახების მიზეზის მიუხედავად უმეტესწილად ხდება განათლების მიღების შეწყვეტა, ხშირ შემთხვევაში საბაზო საფეხურზე. ექსპერტის თქმით, იმ იშვიათ შემთხვევებში, როცა ახალგაზრდებს აქვთ მიღებული სრული საშუალო განათლება, უმაღლესი ან პროფესიული განათლების მიღების მიზნით სწავლის გაგრძელება არ ხდება.

ადრეული ქორწინების პრევენციაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების როლთან მიმართებაში ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა ყველაზე მნიშვნელოვანი რგოლია, რომელმაც შეიძლება შეცვალოს თითოეული ბავშვის მომავალი უკეთესობისკენ: „მაგალითისთვის, თუ ცალ-ცალკე განვიხილავთ ადრეული ქორწინების გამომწვევ მიზეზებს, დავინახავთ, რომ სკოლის დროული ჩარევის შემთხვევაში (გამომწვევი მიზეზის აღმოსაფხვრელად) ავიცილებდით თავიდან შედეგს; თუ დაოჯახების მიზეზი ოჯახური ძალადობაა, სანამ არასრულწლოვანი მსგავსი მდგომარეობისგან თავის დაღწევას დაოჯახების გზით გადაწყვეტს სკოლამ უნდა დაინახოს ეს ოჯახური პრობლემა და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება; თუ გოგო გენდერული ასპექტების გამო იღებს დაოჯახების გადაწყვეტილებას და თვლის, რომ მას არ აქვს სამომავლო პერსპექტივები- ესეც სკოლის მუშაობის ხარისხზე მიგვითითებს.“

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებულ ხარვეზებთან მიმართებაში ექსპერტი აღნიშნავს, რომ სკოლა არ ახორციელებს ადრეული ქორწინების პრევეციულ ღონისძიებებს, ან მას ფრაგმენტული ხასიათი აქვს. თავად სკოლაც ხშირ შემთხვევაში არის ადრეული ქორწინების და გენდერული უთანასწორობის მაპროვოცირებელი. სკოლა არ თანამშრომლობს შესაბამის

უწყებებთან და არ ასრულებს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის ბრძანებით მასზე დაკისრებულ მოვალეობას, ხშირ შემთხვევაში არ ასახავს ნაადრევად დაოჯახებული ახალგაზრდების დაუსწრებლობას და ცდილობს ხელი დააფაროს მსგავს ფაქტებს.

კითხვაზე, თუ რა უნდა გააკეთოს სკოლამ მოსწავლის ცნობიერების ამაღლებისთვის და გაძლიერებისთვის ექსპერტი პასუხობს: „პირველ რიგში უნდა მოხდეს მოსწავლეების სწორი ინფორმირებულობა, სკოლამ უნდა ითანამშრომლოს „ბავშვთა დაცვის რეფერირების პროცედურების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების N437 შესაბამის უწყებებთან და არ უნდა არიდებდეს თავს დადგენილებით განსაზღვრულ ვალდებულებებს და იმუშაოს მშობლებთანაც.

დასკვნა

ნაშრომში განვიხილეთ განათლების მიღების ერთ-ერთი უმძლავრესი ბარიერი - ადრეული ქორწინების ფენომენი, მისი გამომწვევი მიზეზები, უარყოფითი გავლნა განათლების გაგრძელების მოტივაციასა და შესაძლებლობაზე.

ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადრეული ქორწინება ისეთ განვითარებულ ქალაქში, როგორიც თბილისია მცირე მასშტაბებით, თუმცა მაინც გავრცელებულია. იგი წარმოადგენს განათლების მიღების ერთ-ერთ ხელის შემშლელ ფაქტორს. ადრეულ ასაკში დაოჯახებულების 70% სრული საშუალო განათლება არ აქვს მიღებული. უმეტესობას დაოჯახებამდე სამომავლო სწავლა-განვითარების გეგმა ჰქონდა, თუმცა დაოჯახების შემდეგ განათლებაზე ფიქრს წყვეტენ. აღსანიშნავია, რომ ადრეულ ასაკში დაოჯახებული ქალები თმობენ საკუთარი განვითარების პერსპექტივას. თვლიან, რომ დაოჯახების მომენტიდან მათ უპირატეს მისიას ოჯახის მოვლა და შვილების გაზრდა წარმოადგენს, რაც სექსისტური აზროვნების გავრცელებლობის ნიშანია, რომელიც ასევე განათლების სისტემის განუვითარებლობაზე მიგვითითებს. უმეტესწილად ადრეული ქორწინება ინფორმაციის ნაკლებობით არის გამოწვეული. რესპოდენტთა 100% აღნიშნა, რომ, თუ მათ ჰქონდათ მცირედი ზედაპირული ინფორმაცია ადრეული ქროწინების შესახებ - ის სკოლიდან არ მიუღიათ. ახალგაზრდების მოლოდინი ოჯახური თანაცხოვრებისგან ხშირ შემთხვევაში არ ემთხვევა რეალობას. ყოველივე ეს ხაზს უსვამს ადრეული ქორწინების შესახებ ცოდნის ნაკლებობას.

უდიდეს პრობლემას წარმოადგენს მასწავლებლების დამოკიდებულება ადრეული ქორწინების საკითხის მიმართ. აღსანიშნავია, რომ 35 წელს გადაცილებული მასწავლებლები, ახალგაზრდა მასწავლებლებისგან განსხვავებით, სათანადოდ არ აფასებენ საკითხის სიმწვავეს და მის შესახებ

დროული ინფორმაციის მიწოდების მნიშვნელოვნებას. ახალგაზრდა მასწავლებლები მეტად მოტივირებულები არიან, თვლიან, რომ სკოლაში უნდა იყოს ჩამოყალიბებული სხვადასხვა აქტივობები მიმართული ადრეული ქროწინების შესახებ ცნობიერების დონის ამაღლებაზე, რომელიც არ უნდა ატარებდეს ფრაგმენტულ ხასიათს. საკითხის სწავლებაში მონაწილეობას უნდა იღებდნენ როგორც პედაგოგები, ასევე ექიმები და ადრეულ ასაკში დაოჯახებული პირებიი, რომლებიც საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით მიაწვდიან ინფორმაციას მოსწავლეებს. რესპოდენტთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა აღნიშნა, რომ ზოგადსაგანმანათლელბო სივრცეში ასაკის შესაბამისი, სწორი და სიღრმისეული ინფორმაციის მიწოდებით შესაძლებელი იქნება ადრეული ქორწინების მაჩვენებლის შემცირება.

ადრეული ქორწინების პრობლემა წლების განმავლობაში ნაკლებად აქტუალური იყო საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროშიც. ის არასდროს ატარებდა მასშტაბურ ხასიათს. მხოლოდ 2019-2020 სასწავლო წლის მე-7 კლასის პროგრამაში მოხდა ადრეული ქორწინების პრობლემატიკის სწავლების დანერგვა, საგანი „მოქალაქეობის“ ფარგლებში. სხვა ქმედითი და უფრო ხისტი ნაბიჯები პრობლემის აღმოსაფხვრელად არ განხორციელებულა. დღემდე არ მომხდარა საკითხის აქტუალიზაცია, მასწავლებლების გადამზადება და ადრეული ქორწინების შესახებ სწავლების ხარისხის შემოწმება. სამინისტროს ფინანსური მდგომარეობა, მასწავლებლების და მშობლების ცნობიერების დონე კვლავ ადრეული ქორწინების საკითხის აქტუალიზაციის ბარიერს წარმოადგენს. ექსპერტის თქმით, განათლების სისტემა არის მძლავრი მექანიზმი, რომელის მეშვეობით ყველაზე კარგად არის შესაძლებელი მოსწავლეების ცნობიერების დონის ამაღლება და ადრეული ქროწინების მაჩვენებლის შემცირება.

სახალხო დამცველის აპარატის გენდერის დეპარტამენტში მიიჩნევენ, რომ ადრეული ქორწინების პრობლემა თბილისშიც აქტუალურია, თუმცა რაოდენობრივად ნაკლები მაჩვენებლით. ადრეულ ქორწინებას გენდერული

ასპექტები, ინფორმაციის ნაკლებობა, ოჯახში ძალადობა, სიღარიბე და სამომავლო პერსპექტივების არ ქონა განაპირობებს. ექსპერტი აღნიშნავს, რომ განათლების სისტემის როლი უმთავრესია მოსახლეობის ცნობიერებისა და ცოდნის დონის ამაღლების თვალსაზრისით. სკოლა ის ინსტიტუტია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს არა მხოლოდ ადრეული ქროწინების პრევენციული ღონისძიებები, არამედ სწორად და დროულად იმუშაოს მისთვის ცნობილ შემთხვევებზე, შეატყობინოს შესაბამის უწყებებს და ითანამშომლოს მათთან.

რეკომენდაციები

გთავაზობთ რეკომენდაციებს:

- მნიშვნელოვანია, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლების ცნობიერების ამაღლებაზე მუშაობა, მათთვის შესაბამისი ტრენინგ-კურსების შექმნა და მათი გადამზადება.
- ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სადამრიგებლო საათი უნდა ატარებდეს სავალდებულო ხასიათს და იყოს დაგეგმილი თემატიკის მიხედვით, შეიცავდეს ინფორმაციას ადრეული ქოროწინების შესახებ, გენდერული თანასწორობისა და სხვა სოციალური პრობლემების შესახებ.
- სკოლამ უნდა ითანამშრომლოს „ბავშვთა დაცვის რეფერირების პროცედურების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების N437 შესაბამის უწყებებთან და არ უნდა არიდებდეს თავს დადგენილებით განსაზღვრულ ვალდებულებებს. ამისათვის სავალდებულოა სკოლაში სოციალური მუშაობის პრაქტიკის დანერგვა, რომელიც ერთგვარ ხიდს წარმოადგენს სკოლასა და მოსწავლის ოჯახს შორის, რათა დროული და ეფექტიანი იყოს ბავშვთა უფლებების დაცვა მათი დარღვევის შემთხვევაში.
- აუცილებელია უფრო მეტი საგაკვეთილო დრო იყოს დათმობილი ადრეული ქორწინების შესახებ სწავლებაზე. უნდა იქნას განხილული მრავალნაირი მაგალითი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ პრობლემის უკეთ გააზრებას და ცნობიერების ამაღლებას.
- სკოლა აქტიურად უნდა ჩაერთოს ადრეული ქორწინების პრევენციაში და ჩაატაროს თემატური კვირეულები, რომლებშიც ბავშვები მიიღებენ მონაწილეობას და მოიძიებენ შესაბამის ინფორმაციას, გააკეთებენ სასკოლო გაზეთებს, ტრენინგ მასალას და მიიღებენ მონაწილეობას უმცროსკლასელების დატრენინგებაში.
- ყველა სკოლაში უნდა იყოს მინიმუმ ერთი ფსიქოლოგი, რომელიც არ იქნება ორიენტირებული მხოლოდ შშმ და სსმ ბავშვებთან მუშაობაზე. მნიშვნელოვანია სკოლაში არსებობდეს ანონიმური კითხვების ყუთი ან

ელექტრონული ფოსტა, რომელზეც ბავშვს შეეძლება მისთვის საინტერესო კითხვის გაგზავნა და სრულყოფილი პასუხის მიღება. ასევე მნიშვნელოვანია სკოლაში მოხდეს შეხვედრები მშობლებთან, მათი ცოდნის დონის გაღრმავების მიზნით.

- დამხმარე სერვისების შექმნა უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების ბაზაზე, რათა მოხდეს განათლების მიღების ხელშეწყობა იმ ახალგაზრდა დედებისთვის, რომლებსაც არ აქვთ ძლიერი თანადგომის ქსელი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Hervish, A., & Feldman-Jacobs, C. (2011, April). *Who speaks for me? Ending child marriage (Population Reference Bureau Policy Brief). Washington DC: Population Reference Bureau*
2. Malhotra Anju and Mather. (1997). *Do Schooling and Work Empower Women in Developing Countries? Gender and Domestic Decisions in Sri Lanka. Sociological forum. Vol. 12, No.4.*
3. Nour, N. M. (2009). *Child marriage: A silent health and human rights issue. Reviews in Obstetrics and Gynecology,2(1),51-55.*
4. UNICEF, 2014, *Ending Child Marriage Progress and Prospects*
5. აბაშიძე, ა. & არგანაშვილი, ა. (2015). *ადრეული ქორწინება და მისი ზეგავლენა ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციაზე.*
6. აიპ სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი. (2016). *არასრულწლოვანთა ქორწინება.*
7. გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენცია. (1989).
8. გაეროს ბავშვთა ფონდი. (2017). *მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა.*
9. გაეროს ბავშვთა ფონდი. (2018). *ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვები საქართველოში.*
10. გაეროს მოსახლეობის ფონდი (2014). *ადამიანის სექსუალობის შესახებ კომპლექსური განათლების ოპერატიული სახელმძღვანელო: ფოკუსი ადამიანის უფლებებსა და გენდერზე.*
11. გაეროს მოსახლეობის ფონდი (2017). *ადრეული/ ბავშვობის ასაკში ქორწინება.*
12. გაეროს მოსახლეობის ფონდი (2017). *ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინებისა და ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების/კვეთის საზიანო პრაქტიკები საქართველოში.*
13. დაავადებათა კონტროლი & საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი. (2017). *ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინებისა და ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების/კვეთის საზიანო პრაქტიკები საქართველოში.*
14. ევერტ კეტინგი (2015). *საქართველოში ახალგაზრდებზე ორიენტირებული სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მომსახურება – სიტუაციის ანალიზი.* საკონსულტაციო მისიის ანგარიში UNFPA-ს საქართველოს სახელით.

15. ევროკავშირი & ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“ (2016). *ადგილობრივი შესაძლებლობების გაძლიერება ბავშვთა უფლებების დაცვისთვის.* საკითხავი მასალა.
16. ნამიჭეუშვილი, ს. & მგელიაშვილი, მ. (2010). *სოციალური სამუშაოს პრაქტიკის საფუძვლები.*
17. პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (2016). *შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების კვლევა.*
18. საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმა (2018-2024წწ)
19. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ. მუხლი 9.
20. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ. მუხლი 7.
21. საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი16.
22. საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 35.
23. საქართველოს მთავრობის დადგენილებით N437. *ბავშვთა მიმართ ძალადობის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ*
24. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. მუხლი 140.
25. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. მუხლი 143.
26. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1108.
27. საქართველოს სახალხო დამცველი. (2013). გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებები .
28. საქართველოს სახალხო დამცველი. (2015). საქართველოს სახალხო დამცველი ადრეულ ასაკში ქორწინების პრევენციისთვის. თბილისი: ორგანიზაცია "ოქსფამი".
29. საქართველოს სახალხო დამცველი. (2015). საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ .
30. საქართველოს სახალხო დამცველი. (2016). ადრეულ ასაკში ქორწინება: გამოწვევები და გადაჭრის გზები.
31. საქართველოს სახალხო დამცველი. (2017). საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარე ობის შესახებ .
32. საქართველოს სახალხო დამცველი. (2018). საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ .
33. საქართველოს სახალხო დამცველი. (2019). *სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები: ეროვნული შეფასება.*

34. ცინცაბაძე ა., & ჭუბაბრია თ. (2016). *უსახლკარობა-სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზი.*
35. (*https://sapari.ge/%e1%83%90%e1%83%93%e1%83%a0%e1%83%94%e1%83%a3%e1%83%9a%e1%83%98-%e1%83%a5%e1%83%9d%e1%83%a0%e1%83%ac%e1%83%98%e1%83%9c%e1%83%94%e1%83%91%e1%83%90/)*
36. *(https://sapari.ge/ადრეული-ქორწინება/)*
37. *(https://police.ge/ge/nu-tsaartmev-bavshvobas-shinagan-saqmeta-saministro-naadrevi-qortsinebis-tsinaaghmdeg-sainformatsio-kampanias-itskebs/12819)*
38. *(https://factcheck.ge/ka/story/29388-sotsialuri-phoni-gauaresebulia-thbilisshi-uphaso-sasadiloebis-benephitsiartha-raodenoba-izrdeba)*
39. *(https://www.geostat.ge/ka/modules/categories/38/dasakmeba-da-umushevroba)*
40. *(https://www.girlsnotbrides.org/where-does-it-happen/atlas/#/)*
41. *(http://ncp.ge/ge/curriculum/satesto-seqtsia/mimdinare-esg-2011-2016)*
42. *(https://yle.fi/uutiset/osasto/news/child_marriageban_takes_effect_in_finland/10811843)*
43. *(https://ee.sputniknews.ru/news/20171125/8117965/Finny-mogut-zapretj-brak-nesovershennoletnije.html)*
44. *(https://www.thelocal.de/20170602/german-parliament-passes-law-ending-child-marriage)*
45. *(https://www.refworld.org/cgi-bin/texis/vtx/rwmain/opendocpdf.pdf?reldoc=y&docid=4784943d2)*

<u>**დანართი #1**</u>

კითხვარი არასრულწლოვან ასაკში დაოჯახებულ ახალგაზრდებთან

1. ასაკი
2. სქესი
3. ინფორმაცია სასკოლო განათლების შესახებ (დაწყებითი, საბაზო, საშუალო)
4. ირიცხებით თუ არა რომელიმე საგანმანათლებლო დაწესებულებაში? ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის შეწყვეტის/დასრულების შემდეგ გააგრძელეთ თუ არა სწავლა?
5. რა არის ამის მიზეზი? (თუ ვერ გააგრძელა სწავლა)
6. ასაკი დაოჯახების მომენტისთვის
7. დაოჯახება თქვენი გადაწყვეტილება იყო, თუ გარემოებებმა გაგხადეს იძულებული დაოჯახებულიყავით?
8. როგორი იყო მშობლების პოზიცია დაოჯახებასთან დაკავშირებით?
9. გყავთ თუ არა შვილი/ები?
10. დადებითი პასუხის შემთხვევაში , რამდენი წლის იყავით, როცა პირველი შვილი შეგეძინათ?
11. როგორ ახერხებდით/ებთ სწავლისა და საოჯახო საქმიანობის შეთავსებას? (იმ შემთხვევაში, თუ სწავლა დაოჯახების შემდეგაც განაგრძო)
12. რომ არ დაოჯახებულიყავით, გექნებოდათ თუ არა სწავლის შესაძლებლობა? (იმ შემთხვევაში, თუ ვერ განაგრძო სწავლა)
13. ხართ თუ არა დასაქმებული?
14. გაქვთ თუ არა თავისუფალი დრო, რათა იყოთ დაკავებული თქვენთვის საინტერესო საქმიანობით?
15. ფლობდით თუ არა ადრეული ქორწინების, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციას დაოჯახების მომენტისთვის?
16. დადებითი პასუხის შემთხვევაში, ინფორმაციის წყარო.
17. თქვენი აზრით, სკოლაში რომ მიგეღოთ სრულყოფილი ინფორმაცია ოჯახური ცხოვრების და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ გადადგამდით ამ ნაბიჯს არასრულწლოვან ასაკში? (იმ შემთხვევაში, თუ სკოლიდან არ აქვს მიღებული ინფორმაცია)
18. თქვენი აზრით, რომ არ დაოჯახებულიყავით ადრეულ ასაკში, როგორი იქნებოდა თქვენი ცხოვრება?
19. როგორ ხედავთ საკუთარ თავს მომავალში?

<u>დანართი #2</u>

კითხვარი ფოკუს-ჯგუფისთვის

1. ასაკი:
2. სქესი:
3. სტაჟი:
4. იქნებ გაიხსენოთ დაოჯახებული მოსწავლეები. რამდენად ხშირია თქვენს პრაქტიკაში მოსწავლეთა ქორწინების შემთხვევები?
5. ხომ არ შეგიძლიათ გაიხსენოთ, რა იყო დაოჯახების ხელშემწყობი გარემოება?
6. რამდენად მისაღებია თქვენთვის ადრეულ ასაკში ქორწინება?
7. თქვენი აზრით, რა განაპირობებს ადრეულ ქორწინებას?
8. თქვენი აზრით უნდა ისწავლებოდეს თუ არა ადრეული ქორწინების შესახებ ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში?
9. თქვენი აზრით, რომელი საგნის ფარგლებში უნდა ისწავლებოდეს ადრეული ქორწინების შესახებ ინფორმაცია?
10. თქვენი აზრით, არის თუ არა მიზანშეწონილი ადრეული ქორწინების,სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სწავლებისთვის ცალკე საგნის გამოყოფა?
11. დღეის მდგომარეობით, არის თუ არა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში რაიმე სახის აქტივობები, რომელიც მიმართულია ადრეული ქორწინების თავიდან აცილებისთვის და სწავლის გაგრძელების მოტივაციისთვის?
12. დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, დააკონკრეტოდ.
13. თქვენი აზრით, რამდენად ეფექტიანად არის შედგენილი ეროვნული სასწავლო გეგმა არასრულწლოვნებისთვის ადრეული ქორწინების შესახებ ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით?
14. რა ცვლილებებს შეიტანდით ეროვნულ სასწავლო გეგმაში?
15. რა დამატებითი რესურსის დანერგვაა მიზანშეწონილი სკოლაში, რათა მოხდეს ადრეული ქორწინების შესახებ ინფორმაციის ეფექტიანი სწავლება?
16. ხდება თუ არა მასწავლებლების გადამზადება ადრეული ქორწინების საკითხებზე? (უარწოფითი პასუხის შემთხვევაში გადადით კითხვა N16-ზე)
17. რამდენად ეფექტიანია იგი?
18. თქვენი აზრით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ადრეული ქორწინების საკითხისთვის უფრო მეტი ყურადღების დათმობით შეუძლია, თუ არა სკოლას ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი ადრეული ქორწინების პრევენციაში?

<u>დანართი #3</u>

კითხვები ექსპერტებთან (განათლების სამინისტროს ექსპერტი)

1. რამდენი ხანია, რაც სამინისტრომ დაიწყო ადრეული ქორწინების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე აქტიური მუშაობა/ყურადღების გამახვილება?

2. რა არის ძირითადი გამოწვევა განათლების ამ სფეროს განვითარებისთვის?

3. არის თუ არა ისეთი გეგმა/მიზანი მიმართული ადრეული ქორწინების შესახებ მოსწავლეების ცნობიერების დონის ამაღლებაზე, რომელიც კონკრეტული მიზეზების გამო ვერ განხორციელდა/ვერ ხორციელდება? რა არის ხელის შემშლელი ფაქტორები?

4. როგორია სამომავლო ხედვა საკვლევ საკითხთან დაკავშირებით?

5. როგორია ადრეული ქორწინების სწავლების ხარისხი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში?

6. რა ხარვეზებია გამოკვეთილი ამ ეტაპისთვის?

7. რა გაკეთდა ხარვეზების აღმოსაფხვრელად?

8. ხდება თუ არა მასწავლებლების გადამზადება ადრეული ქორწინების და სექსუალური განათლების სწავლების სპეციფიკასთან დაკავშირებით?

9. არის თუ არა სექსუალური განათლების სწავლების ხარისხის შეფასების მექანიზმი?

10. რეკომენდაციები იმასთან დაკავშირებით, თუ რა შეიძლება გაკეთდეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, რათა ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი ადრეული დაოჯახების მაჩვენებლი შემცირებაში.

<u>დანართი #4</u>

კითხვები ექსპერტებთან (სახალხო დამცველის აპარატის ექსპერტი)

1. არის, თუ არა ადრეული ქორწინება სოციალური პრობლემა?

2. წარმოადგენს, თუ არა ადრეული ქორწინება განათლების მიღების ერთ-ერთ ხელის შემშლელ ფაქტორს?

3. რა არის ადრეული ქორწინების ძირითადი გამომწვევი მიზეზი?

4. როგორია სკოლის როლი ადრეული ქორწინების პრევენციაში?

5. რა ტიპის ხარვეზები არის გამოკვეთილი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ადრეულ ქორწინებასთან მიმართებაში?

6. როგორია სკოლის როლი ადრეული ქორწინების პრევენციაში?

7. რა დამატებითი რესურსის დანერგვაა მიზანშეწონილი სკოლაში, რათა მოხდეს ადრეული ქორწინების შესახებ ინფორმაციის ეფექტიანი სწავლება?

8. თქვენი აზრით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ადრეული ქორწინების საკითხისთვის უფრო მეტი ყურადღების დათმობით შეუძლია, თუ არა სკოლას ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი ადრეული ქორწინების პრევენციაში?

9. გთხოვთ, გაგვიზიაროთ თქვენი რეკომენდაციები განათლების პოლიტიკის სასურველ ცვლილებებთან მიმართებაში.